ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #19, 29.08.2018
დოკუმენტის ამოქმედების ვადა: 17.09.2018

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

ა. რურუა

ND-30.2018.G

დოქტორანტურის
დებულება

თბილისი
2018

შინაარსი

პრეამბულა	3
1. ზოგადი დებულებები	4
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა 1. პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება; 2. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები; 3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძვანელი. კვლევის თემა; 4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა და დამატება; 5. კვლევის თემის შეცვლა. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შეცვლა/დაზუსტება; 6. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; 7. დოქტორანტურაში სწავლის საფასური. პროგრამის დაფინანსება; 8. სწავლების ენა; 9. პროგრამის მოცულობა. სწავლების ხანგრძლივობა. დოქტორანტის დატვირთვა; 10. პროგრამის სტრუქტურა. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები; 11. პროგრამის სასწავლო კომპონენტი; 12 პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი; 13. დოქტორანტის შეფასება; 14. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა	4
3. დოქტორანტურაში მიღების გამოცხადება. დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი 1. დოქტორანტურაში მიღების გამოცხადება; 2. საკონკურსო დარგობრივი კომისია; 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვა. დოქტორანტი; 4. სემესტრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია (1. რეგისტრაციის ვადები; 2. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია; 3. აკადემიური რეგისტრაცია; 4. დამატებითი კრედიტები; 5. არჩევანის შეცვლა); 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება; 6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა; 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; 8. მობილობა; 9. განათლების (კრედიტების და შეფასებების) აღიარების წესი; 10. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელების პირობები	14
4. დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების წესი 1. ზოგადი წესი; 2. მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისადმი; 3. ავტორეფერატი; 4. სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტები. ნაშრომის რეცენზირების ინტერნაციონალიზაცია; 5. სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის წინაპირობა, წარდგენის წესი; 6. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება სამეცნიერო ნაშრომის დაცვის და ოპონენტების დანიშვნის შესახებ; 7. ოპონენტები. ოპონენტების დასკვნები. საჯარო დაცვის დანიშვნის წინაპირობა და პროცედურები; 8. სადისერტაციო დარგობრივი კომისია; 9. სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვა (1. ინფორმაცია დაცვის ჩატარების შესახებ; 2. საჯარო დაცვა; 3. დისერტაციის შეფასება; 4. სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმი); 10. დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება. საქმისწარმოების დასრულება (1. დოქტორის აკადემიური ხარისხი, დიპლომი; 2. საქმისწარმოების დასრულება); 11. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილობა	26
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 1. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები; 2. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები; 3. საბჭოს მუშაობის წესი, გადაწყვეტილების მიღება, სხდომის ოქმი	31
6. დანართები	35
7. დოკუმენტების კონფიდენციალურობა და საჯაროობა	35
8. დასკვნითი დებულებები	35

პრეამბულა

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში და განხორციელების ხელშეწყობაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის და პირის შიდა ნორმატიული დოკუმენტია;
2. დოკუმენტი განსაზღვრავს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესსა და პირობებს;
3. დოკუმენტი ვრცელდება ბტუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან, განხორციელებასთან და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტზე და პროცედურაზე;
4. დოკუმენტი:
   1. დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
   2. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამტკიცების აქტით.
5. დოკუმენტის პერიოდული შემოწმება ხორციელდება არანაკლებ 12 თვვეში ერთხელ;
6. დოკუმენტში ცვლილებები მუშავდება და შედის ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ სამართლებრივი/სხვ. დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დოკუმენტი;
7. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ორიგინალი, ელ.ვერსია);
8. დოკუმენტის მოქმედი ელ.ვერსია განთავსებულია ბტუ-ს ვებგვერდზე www.btu.edu.ge

2. ძირითადი საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
2. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
4. უმაღლესი განათლების სფეროში საქართელოს მოქმედი კანონქვემდებარე აქტები;
5. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
6. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრონციპები (European Standards and Guidelines – ESG-2015);
7. ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
8. ISO 21001:2018 - საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
9. ბტუ-ს შინაგანაწესი;
10. ბტუ-ს მისია, განვითარების სტრატეგია, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
11. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
12. ბტუ-ს ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი დებულებები, წესები, ინსტრუქციები.

3. ბტუ-ში ძირითადი შესაძლო შემოკლებები და განმარტებები

ბტუ ან უნივერსიტეტი -	შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი”;
ფუნდამენტური დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც სარგებლობს უპირატესი ძალით ბტუ-ს სხვა შიდა დოკუმენტებთან მიმართებაში და წარმოადგენენ მათ საფუძველს;
შიდა ნორმატიული დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბტუ-ს საქმიანობის შიდა მარეგულირებელ ნორმებს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს (მოქმედ დოკუმენტებში გამოყენებულია დასახელება „ნორმატიურლი დოკუმენტი“);
სტრატეგიული დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბტუ-ს ხედვას მისი განვითარების მიმართულებების შესახებ;
მეთოდოლოგიური დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც აღწერს ბტუ-ს საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის/სფეროს მოწესრიგების პროცესს, მის თავისებულებებს და გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას;
თანამდებობრივი ინსტრუქცია -	ბტუ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
სტრუქტურული ერთეულის დებულება -	ბტუ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/პერსონალის დანიშვნის წესსა, მათ თანამდებობრივ ფუნქციებს და სხვ.;
აღრიცხული ეგზემპლარი -	დოკუმენტი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო კოდი დოკუმენტთა ნომენკლატურის მიხედვით;
საგანმანათლებლო პროგრამა -	საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
სტუდენტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/ სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
მაგისტრანტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
დოქტორანტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
უსდ/სდ -	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
ხს -	ხარისხის სისტემა;
ECTS -	კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
ENQA -	European Network for Quality Assurance;
ESG -	European Standards and Guidelines;
ISO -	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

1. ზოგადი დებულებები

1. "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" (შემდგომში - ბტუ) წინამდებარე დოქტორანტურის დებულება (შემდგომში - დებულება) აღწერს ბტუ-ში დოქტორანტურის პროგრამების თავისებურებებთან და განხორციელებასთან და სადისერტაციო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. დებულება შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების საფუძველზე. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით ან ბტუ-ს სხვა მარეგულირებელი წესებით/დებულებებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

2. წინამდებარე დოკუმენტი საჯაროა. ბტუ-ში მოქმედი საერთო წესი: ბტუ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ვებგვერდის მეშვეობით. ბტუ-ს სტუდენტები, პერსონალი და სხვა პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და შეასრულონ ბტუ-ში მოქმედი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

3. ყველა საკითხი, რომელიც მიეკუთვნება ამ დოკუმენტის რეგულირების სფეროს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტში და ბტუ-ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში/წესებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, ცვლილებების შეტანა. გაუქმება

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონე, მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს დოქტორანტურის საფეხურისთვის კანონმდებლობით და დარგობრივი მაჩვენებლებით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული დონის შესაბამისი შედეგების მიღწევას და სამეცნიერო კადრების მომზადებას. სადოქტორო პროგრამა სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული დისერტაციის/სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვით;

2. ბტუ-ში სადოქტორო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) უნდა შეესაბამებოდეს ბტუ-ს მისიას, პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისა. ბტუ-ში პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანის, პროგრამის გაუქნების, დამტკიცების საკითხები რეგულირდება ბტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგიაით. პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები

1. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის საქმიანობა, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციით";

2. პროგრამას განახორციელებენ აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, საქართველოს და/ან უცხოეთის პარტნიორი დაწესებულებ(ებ)ის პერსონალი (შემდგომში - მოწვეული პერსონალი);

3. კვლევის და სამეცნიერო ნაშრომის მომზადების პროცესში დოქტორანტი ითანამშრომლებს:

1) სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რომელიც დაეხმარება დოქტორანტს სასწავლო-კვლევითი პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში, სადისერტაციო ნაშრომის სრულფასოვნად შექმნაში და სხვ.;
2) ბიზნეს-მენტორთან, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დარგის ექსპერტს/პრაქტიკოს სპეციალისტს, წამყვანი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ორგანიზაციების ზედა რგოლის მენეჯერს და დაეხმარება დოქტორანტს კვლევის თემატიკიდან გამომდინარე უახლესი და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში, სფეროს სპეციალისტებთან/ექსპერტებთან შეხვედრებში;
3) სასურველია უცხოეთის პროფესორ-მკვლევართან დოქტორანტის თანამშრომლობა, რომელიც გაუზიარებს მას საკვლევი თემატიკის გარშემო არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას, საერთაშორისო პრაქტიკას (უცხოეთის პროფესორ-მკვლევარის თანხმობას (არსებობის შემთხვევაში) დოქტორანტი წარმოადგენს ბტუ-ში სწავლის/კვლევის პერიოდში ან ბტუ-ს პროგრამაზე სწავლის განაცხადთან ერთად).

3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძვანელი. კვლევის თემა

1. დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებისას შეიძლება იყოს გამოყენებული: სავარაუდო კვლევის თემას და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტობის კანდიდატი თავად შეარჩევს და წარადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მიზნით სხვა საბუთებთან ერთად ან/და დოქტორანტობის კანდიდატს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს კვლევის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი ბტუ-ს მიერ შეთავაზებული (დამტკიცებული) ჩამონათვალიდან;

2. თითოეული დოქტორანტისთვის კვლევის თემა, სამეცნიერო ნაშრომის სათაური და სამეცნიერო ხელმძღვანელის ვინაობა მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორანტურაში ჩარიცხვისთანავე მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა;
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (შემდგომში - დოქტორანტის ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს ბტუ-ს/სხვა უსდ-ს ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან/და სამეცნიერო პერსონალი/მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, დოქოტრანტის კვლევის ზოგად თემატიკასთან დაკავშირებულ სფეროში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება - ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ი და/ან არის შესაბამისი სფეროში აღიარებული სპეციალისტი;
3. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, მათ შორის ერთ-ერთი შეიძლება იყოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, სხვ.), რომელსაც აქვს დოქტორანტის კვლევის ზოგადი თემატიკის სფეროში/მიმართულებით კვლევის გამოცდილება - ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ი და/ან იყოს შესაბამის სფეროში აღიარებული სპეციალისტი. ამ ხელმძღვანელის დანიშვნა შესაძლებელია როგორც დოქტორანტის ხელმძღვანელის დანიშვნისთვის დადგენილ, ისე სხვა ვადაშიც;
4. თუ დოქტორანტის ხელმძღვანელი ობიექტური გარემოებების გამო ვერ ასრულებს ან უარს ამბობს დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე, მაშინ ამ ფუნქციებს სრული მოცულობით ასრულებს დოქტორანტის მეორე ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში). მეორე ხელმძღვანელის არარსებობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს დოქტორანტი ხელმძღვანელით (თუ ხელმძღვანელი იყო განსაზღვრული ბტუ-ს მიერ)/ხელი შეუწყოს დოქტორანტს ახალი ხელმძღვანელის მოძიებაში (თუ ხელმძღვანელი იყო შერჩეული და წარმოდგენილი დოქტორანტობის კანდიდატის მიერ);
5. დოქტორანტის ხელმძღვანელის სალექციო და კვლევითი დატვირთვიდან გამომდინარე დადგინდება თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა ხელმძღვანელმა. გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო, ხელმძღვანელის აზრის გათვალისწინებით და მისი დატვირთვიდან გამომდინარე. სამეცნიერო ხელმძღვანელობის გამოცდილების მქონე პირმა შეიძლება უხელმძღვანელოს არაუმეტეს 03 დოქტორანტს, თუ პირი პირველად ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელობას - არაუმეტეს 01 დოქტორანტს. დოქტორანტების ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი მიღწევების (ხელმძღვანელობის მაღალი ეფექტიანობის და ხარისხის) მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჰყავდეს მეტი დოქტორანტი. ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად;
6. დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ ბტუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმის საფუძველს, თუ ამის შემდეგ დოქტორანტის ხელმძღვანელის თანხმბით სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას საბჭოში მისი მოწვევის შესახებ, ამ შემთხვევაში ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება;
7. დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები:

1) დოქტორანტის ხელმძღვანელი:
   1. დოქტორანტს ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის დაგეგმვაში - დოქტორანტთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს (ასევე - გეგმებში ცვლილებებს), ახორციელებს დოქტორანტის მიერ გეგმების შესრულების პროცესის მეთვალყურეობას;
   2. სისტემატურ კონტროლს უწევს დოქტორანტის საქმიანობას, კვლევის მიმდინარეობას და ხარისხს;
   3. ახდენს პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებას, კომპეტენციის ფარგლებში - გადაჭრას;
   4. დოქტორანტს ეხმარება კვლევის მიმართულების დაზუსტებაში, კვლევის დიზაინში, სამეცნიერო კვლევის პროექტის და კოლოკვიუმის მომზადების, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებისა და სამეცნიერო ჟურნალის შერჩევის, კვლევისა და დისერტაციის წერის პროცესში;
   5. აძლევს რჩევებს იმ წყარიების შესახებ, რომელთა მეშვეობით დოქტორანტი შეძლებს აუცილებელი ინფორმაციის მიღებას;
   6. აფასებს კვლევის მეთოდიკას, თვალყურს ადევნებს კვლევის მიმდინარეობას;
   7. ახდენს დოქტორანტის საჭიროებების იდენტიფიცირებას, რეგულარული კონსულტაციებით, რჩევებით და პერიოდული უკუკავშირით ეხმარება პრობლემების გადაჭრაში;
   8. საჭიროების შემთხვევაში (საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე) ხელს უწყობს დოქტორანტს დარგის შესაბამის პრაქტიკოს-მენტორთან, საქართველოს/უცხოეთის უსდ-ს/კვლევითი ცენტრების პროფესორ/მკვლევარებთან/სხვ. თანამშრომლობას;
   9. დოქტორანტთან ერთად განიხილავს ანტიპლაგიატის პროგრამით ნაშრომის შემოწმების შედეგებს და ხელს უწყობს დოქტორანტს ხარვეზეის აღმოფხვრაში;

10. დოქტორანტთან ერთად განიხილავს დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოს, სადისერტაციო ნაშრომს და ავტორეფერატს, საჯარო დაცვისთვის მომზადებულ პრეზენტაციას, სხვ.
11. სადისერტაციო საბჭოსთვის ნაშრომის გადაცემის მიზნით ამზადებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ წერილობით განცხადებას (წარდგინებას) და მონაწილეობს დისერტაციის საჯარო დაცვის სხდომაში (განხილვაში მონაწილეობის უფლებით).

2) პასუხისმგებელია დოქტორანტის საქმიანობის სრულფასოვან განხორციელებაზე და ვალდებულია:
   1. განუმარტოს დოქტორანტს ბტუ-ში მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის მოთხოვნები, მათი დაცვის მნიშვნელობა და სტანდარტის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციები, პერიოდულად შეამოწმოს დოქტორანტის მიერ ამ სტანდარტის შესრულება;
   2. კვლევის თავისებურებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე დროულად შეიმუშავოს და წარადგინოს რეკომენდაციები სპეციალური კომპეტენციის მქონე პირთა მოწვევის, დარგობრივი ორგანიზაციების ჩართულობის, კვლევის აუცილებელი მასალებით, აღჭურვილობით, რესურსებით და/ან სხვ. უზრუნველყოფის თაობაზე;
   3. დოქტორანტის საქმიანობის ხელშეწყობის და საორგანიზაციო საკითხების ოპერატიულად გადაჭრის მიზნით ითანამშრომლოს პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სხვა განმახორციელებლებთან და ბტუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან;
   4. დაეხმაროს დოქტორანტს კვლევის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, გაუწიოს მეთოდური ხელმძღვანელობა, მისცეს დოქტორანტს რეკომენდაციები, გამოთქვას შენიშვნები, დაეხმაროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში, და სხვ.;
   5. გაეცნოს ყველა ანკეტას, კითხვარს, ტესტს, ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის მეთოდებს და ა.შ., რომელთა გამოყენებას აპირებს დოქტორანტი კვლევის პროცესში, დარწმუნდეს რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და მათი გამოყენებით არ ირღვევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პერსონალური მონაცემების/არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, სხვ., საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციისთვის მიმართოს ბტუ-ს იურიდიულ სამსახურს;
   6. გაუწიოს დოქტორანტს რელევანტური კონსულტირება, ამ მიზნით დოქტორანტის საჭიროებების და კვლევის თავისებურებების შესაბამისად განსაზღვროს კონსულტაციების სიხშირე და საათების რაოდენობები;
   7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე დოქტორანტს შეუდგინოს მის საჭიროებებზე ორიენტირებული ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები, განსაზღვროს კონსულტაციების და შეხვედრების რელევანტური პერიოდულობა და ჩატარების ფორმატი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების ჩართულობის მიზნით;

3) დოქტორანტის ხელმძღვანელი ვალდებულია შეასრულოს აკადემიური ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების მოთხოვნები, მათ შორის ბტუ-ს „ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდესით“ ნაშრომის ხელმძღვანელისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობები;
4) დოქტორანტის ხელმძღვანელი ვალდებულია გაეცნოს ბტუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბტუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისგებლობისაგან;
5) დოქტორანტის ხელმძღვანელი ასრულებს დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან, დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასთან, პროგრამის მოთხოვნების და მოქმედი წესების შესრულებასთან დაკავშირებულ, წინამდებარე დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს;
6) დოქტორანტის ხელმძღვანელის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: დაკისრებული მოვალეობების დროულად, ხარისხიანად და პირადად შესრულება; შრომითი დისციპლინის, შინაგანაწესის, ქცევის წესების, ეთიკის კოდექსის დაცვა; არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;
7) დოქტორანტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია: უარი თქვას დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში მან დოქტორანტის მიერ კვლევის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევაში - სხვა ვადაში) დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს; გაეცნოს ნებისმიერი გადაწყვეტილების პროექტს, რომლებიც ეხება პროგრამის განხორციელებას, დოქტორანტის და საკუთარ საქმიანობას, წარადგინოს წინადადებები ფუნქციებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის; მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება; მოითხო-

ვოს ფუნქციების, ვალდებულებების და უფლებების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, შრომის სათანადო პირობების შექმნა, შრომის სათანადო პირობების შექმნა და დახმარების გაწევა თავისი თანამდებობრივი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის;

8.დოქტორანტის ხელმძღვანელს უფლებამოსილება უწყდება: პირადი განცხადების, დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის შეცვლის, დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, მათ შორის დოქტორანტისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების საფუძვლით. ასევე, ბტუ-ს გადაწყვეტილებით დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლებიც წარმოადგენენ ბტუ-ს პერსონალთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა და დამატება

1. დოქტორანტის ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში მან დოქტორანტის მიერ კვლევის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევაში - სხვა ვადაში) დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს;

2. ნებისმიერ ეტაპზე დოქტორანტის დასაბუთებული განცხადებით დასაშვებია ხელმძღვანელის შეცვლა ან ხელმძღვანელის დამატება. ამ შემთხვევებში დოქტორანტმა დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს;

3. ზემოთ მითითებულ შემთხვევებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო. გადაწყვეტილება აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

5. კვლევის თემის შეცვლა. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შეცვლა ან დაზუსტება

1. კვლევის თემის (შემდგომში - თემა) შეცვლის და სადისერტაციო ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) სათაურის შეცვლის/დაზუსტების საკითხებს განიხილავს სადისერტაციო საბჭო;

2. დოქტორანტის დასაბუთებული განცხადებით დასაშვებია თემის შეცვლა ან ნაშრომის სათაურის შეცვლა/დაზუსტება. თემის შეცვლის და სათაურის შეცვლის/დაზუსტების თაობაზე დოქტორანტმა განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს. განცხადებას უნდა დაერთოს დოქტორანტის ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა;

3. განცხადებას და შუამდგომლობას განიხილავს სადისერტაციო საბჭო. არაუმეტეს 01 თვის ვადაში საბჭო იღებს გადაწყვეტილებას თემის შეცვლასთან / სათაურის შეცვლასთან/დაზუსტებასთან დაკავშირებით;

4. თემის შეცვლის/სათაურის შეცვლის/დაზუსტების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო განიხილავს დოქტორანტის მიერ უკვე მომზადებული და წარდგენილი კვლევის პროექტის, კოლოკვიუმის და გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაციების შესაბამისობას ახალ თემასთან/სათაურთან. შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს ამ დებულებით გათვალისწინებული წესი;

5. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

6. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის საჯაროობის მიზნით პროგრამის კურიკულუმის/აღწერილობის ელ.ვერსია ატვირთულია ბტუ-ს ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi), ამონაბეჭდის სახით არის ფაკულტეტზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების, სწავლის საფასურის, პროგრამის განმახორციელებლების შესახებ, ბტუ-ს საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. პროგრამასთან დაკავშირებით ბტუ-ში სწავლის მსურველებს და დოქტორანტებს კონსულტაციას გაუწევენ ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლები.

7. დოქტორანტურაში სწავლის საფასური. პროგრამის დაფინანსება

1. დოქტორანტურაში სწავლის საფასური განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

2. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება:

1) დოქტორანტის ან ბტუ-ს მიერ მოპოვებული გრანტებით;
2) მიზნობრივი დაფინანსებით - იურიდიული/ფიზიკური პირების მიერ, სადოქტორო პროგრამებიდან/საკვლევი თემებიდან ერთი ან რამოდენიმეს განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრებით;
3) თვითდაფინანსებით - დოქტორანტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის საფასურის დაფარვით;
4) ბტუ-ს ბიუჯეტიდან;

3. პროგრამა შესაძლებელია დაფინანსდეს სხვა (მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული) წყაროებიდანაც, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

8. სწავლების ენა

სწავლების ენა არის ქართული, დასაშვებია უცხო ენაზე პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება. პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორი-

სო ხელშეკრულებით ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

9. პროგრამის მოცულობა. სწავლების ხანგრძლივობა. დოქტორანტის დატვირთვა

1. პროგრამით ხანგრძლივობა: 3 წელი (max 5 წელი, მათ შორის პროგრამის ვადა - 3 წელი და დამატებითი ვადა - 2 წელი. პროგრამის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულებისთვის საჭირო გონივრულ ვადაზე);

2. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემთხვევაში დოქტორანტის საქმიანობა მიმდინარეობს ინდივიდუალური კვლევითი გეგმის საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული წესები (საჯარო დაცვაზე წარდგენა, დაცვა, სხვ.) რეგულირდება წინამდებარე დებულებით;

3. პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში:

1) სასწავლო კომპონენტის მოცულობა: max 60 ECTS-ის კრედიტი (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი);
2) 1 კრედიტი = 25 საათს (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს). დამატებითი შეფასებისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება), კონსულტაციებისთვის განსაზღვრული დრო არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს. 1 აკადემიური საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს. ერთ აკადემიურ საათში მოიაზრება: 50 წუთი სააუდიტორიო დრო + 10 წუთი შესვენება;
3) 01 აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტს). ამავდროულად, პროგრამის ან დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე (ასევე, სემესტრში - 30 კრედიტზე) ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (შემოდგომის სემესტრში - არაუმეტეს 40 კრედიტისა, გაზაფხულის სემესტრში - არაუმეტეს 50 კრედიტისა);
4) 01 აკადემიური წელი მოიცავს 02 სემესტრს - შემოდგომის სემესტრი (max 21 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (max 25 კვირა) - და არდადეგებს მათ შორის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემთხვევაში სემესტრის ხანგრძლივობა შესაძლოა განსხვავდებოდეს მითითებულისაგან. სემესტრის დასრულების შემდეგ არის არდადეგები, მათი ხანგრძლივობა დაკავშირებულია სემესტრის დამთავრების და მომდევნო სემესტრის დაწყების თარიღებთან და განისაზღვრება ყოველი აკადემიური წლისთვის;
5) სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი შეფასების ჩატარებისა და დამატებით შეფასებაზე დოქტორანტთა შეფასებისა და შედეგების გამოცხადების პერიოდის ჩათვლით. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;
6) ბტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით: ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს, სასწავლო დატვირთვა კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა;
7) საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაბა და სხვ.) ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების საფუძველზე ერთი სემესტრისათვის შედგენილი ცხრილებით, რომლებიც განთავსებულია ბტუ-ს სასწავლო პროცესის ელ.მართვის სისტემაში. სასწავლო კურსებში შუალედური გამოცდების რაოდენობა და კვირები - ერთი შუალედური გამოცდა, შუალედური გამოცდების რეკომენდებული პერიოდი - VIII კვირა. განსხვავებული პერიოდი შეიძლება დადგინდეს პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რაც უნდა მოხდეს აკადემიური წლის (სემესტრის) დაგეგმვისას, შუალედური გამოცდ(ებ)ის რაოდენობის/კვირების ზუსტად მითითებით და დოქტორანტების წინასწარი (არაუგვიანეს სემესტრის დაწყებისა) ინფორმირებით. თუ დადგენილისაგან განსხვავებული შუალედური გამოცდების პერიოდი იგეგმება მხოლოდ ერთი აკადემიური წლისთვის (სემესტრისთვის), მაშინ ეს ხდება დეკანის განკარგულებით, ზემოთ მითითებული წესით დოქტორანტების ინფორმირებით, სილაბუსში ცვლილებების გარეშე. ყველა სხვა შემთხვევაში შუალედური გამოცდ(ებ)ის პერიოდის, ასევე გამოცდების რაოდენობის, ცვლილება უნდა აისახოს სილაბუსში (ცვლილება დამტკიცებულად ითვლება);
8) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დადგენილი განრიგით. ბტუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებულ (საპატიო მიზეზად მიჩნეულ) შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ამ განრიგის დაცვა: ა) დოქტორანტი შეძლებს სხვა სასწავლო ჯგუფ(ებ)ისთვის (არსებობის შემთხვევაში) დადგენილ დღეებში/საათებში მეცადინეობებზე დასწრებას, გამოცდებზე/დაცვებზე და დამატებით გამოცდებზე/დაცვებზე გასვლას; ბ) შეიძლება დაზუსტდეს/შეიცვალოს უკვე შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
9) სილაბუსებში გათვალისწინებულია დოქტორანტებთან ინდივიდუალური/დამატებითი მუშაობა (მაგ.,

კონსულტაციები): ეს საათები არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტის კრედიტს და წარმოადგენს დოქტორანტის მიღწევების გაუმჯობესებისა და შესასწავლი საკითხების უკეთ ათვისების ხელშეწყობის მექანიზმს. კონსულტაციები ტარდება სილაბუსებში მითითებული განრიგით;

10) ბტუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები დასკვნითი შეფასებების დასრულების შემდგომ, სემესტრის დარჩენილ ვადაში: 1) ინტენსიური სწავლებით პროგრამის იმ სასწავლო კომპონენტების შესწავლის შესაძლებლობის შესახებ, რომლებშიც დოქტორანტს მისაღები აქვთ კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო (უნდა იყოს დაცული შემდეგი პირობა - ინტენსიური სწავლიების პერიოდში მისაღები კრედიტების რაოდენობით დოქტორანტის სასწავლო დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი) არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ შესაძლო სრულ დატვირთვას - კვირაში 50 სთ-ს); 2) ინტენსიურ სწავლებაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევებში პროგრამის კომპონენტების შესწავლა მოხდება სასწავლო გეგმით დადგენილ/დადგენილთან თავსებად შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში. გადაწყვეტილება მიიღება რექტორის მიერ ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით დასკვნითი შეფასებების პერიოდის დასრულებამდე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხდება დოქტორანტების ინფორმირება.

4. ბტუ-ში სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში - ასევე სასწავლო პროცესი და საგამოცდო პერიოდი, მიმდინარეობს დადგენილი განრიგის შესაბამისად, რომლის დარღვევის საპატიო მიზეზად მიიჩნევა ბნსუ-ს შინაგანაწესში მითითებული გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ან გამოიწვიეს დადგენილი განრიგის დაცვის და მოქმედი გეგმით სწავლის შეუძლებლობა, დოქტორანტის ხელშეწყობის მიზნით, მას შეიძლება მიეცეს სასწავლო კომპონენტის შენთხვევაში ერთი სემესტრისთვის შედგენილი ინდივიდუალური განრიგით/გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ სახის ინდივიდუალური განრიგი შეიძლება შემუშავდეს იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის დასრულებამდე იქნება შესაძლებელი პროგრამის კომპონენტების სრულფასოვანი შესწავლა, დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობის შესრულება, დასკვნითი და დამატებითი (გამოცდების/დაცვების) ჩატარება და დოქტორანტის შეფასება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი: დოქტორანტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას; არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, გარკვეული დროით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას; სხვ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დოქტორანტს უპირობოდ ეძლევა ინდივიდუალური განრიგით და გეგმით სწავლის შესაძლებლობა;

5. უქმე დღეებად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები: 1 და 2 იანვარი; 7 იანვარი; 19 იანვარი; 3 მარტი; 8 მარტი; 9 აპრილი; სააღდგომო დღეები (დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის დღე, აღდგომის მეორე დღე - ორშაბათი. თარიღები გარდამავალია); 9 მაისი; 12 მაისი; 26 მაისი; 28 აგვისტო; 14 ოქტომბერი; 23 ნოემბერი. კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა ბტუ-ს გადაწყვეტილებით შეიძლება დამატებითად განისაზღვროს ბტუ-ში დასვენების/უქმე დღეები.

10. პროგრამის სტრუქტურა. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები

1. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (არაუმეტეს 60 ECTS, არჩევით და სავალდებულო ნაწილს) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შეთავაზებული არჩევითი კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა უნდა აღემათებოდეს პროგრამის არჩევითი ნაწილისთვისთვის განსაზღვრულ კრედიტებს და იძლეოდეს არჩევანის შესაძლებლობას;

2. პროგრამის (კურიკულუმის) სასწავლო გეგმაში მითითებულია სასწავლო კურსების/სხვ., სამეცნიერო კვლევის პროექტის, კოლოკვიუმის, სამეცნიერო პუბლიკაციების შესრულების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სავარაუდო პერიოდები (ადმინისტრირების გამარტივებისთვის - სემესტრები), რაც შეიძლება დარჩეს უცვლელი/შეიცვალოს დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესაბამისად. დისერტაციის წარდგენამდე აუცილებელია პროგრამის სასწავლო კომპონენთისთვის დადგენილი კრედიტების მიღება, სამეცნიერო კვლევის პროექტის, კოლოკვიუმის, სამეცნიერო პუბლიკაციების და წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება;

3. დოქტორანტი ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს (ინახება დოქტორანტის პირად საქმეში) ადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელთან (შემდგომში - დოქტორანტის ხელმძღვანელი) შეთანხმებით;

4. ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს (შემდგომში - ინდივიდუალური გეგმები) დოქტორანტის ხელმძღვანელი ათანხმებს პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან, განსხვავებული პოზიციების შემთხვევაში გეგმას/გეგმებს განიხილავს სადისერტაციო საბჭო. ინდივიდუალური გეგმები დგება არაუგვიანეს ერთი თვისა დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან/სწავლის დაწყებიდან (განსაკუთ-

რებულ შემთხვევებში განსხვავებულ ვადაში, თუ არსებობს დოქტორანტის წერილობითი თანხმობა);
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში აისახება პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/სხვ. და მათი გავლის სემესტრებით გაწერილი გრაფიკი;
6. ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება კვლევის განხორციელებისა და სადისერტაციო ნაშრომის მოსამზადებლად. მასში მოკლედ არის მოცემული კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, სადისერტაციო ნაშრომის (კვლევის) შესრულების სავარაუდო განრიგი და სხვ.

11. პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სასწავლო კომპონენტის შემადგენლობა განისაზღვრება პროგრამის სასწავლო გეგმით. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს/კომპონენტებს;
2. <u>სასწავლო კურსები/სხვ.:</u> სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა გაიაროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/სხვ., არჩევითი სასწავლო კურსების კონცენტრაციით დოქტორანტს შეძლებს კვლევის ხელშემწყობი კომპონენტების შესწავლას;
3. <u>პროსპექტესი</u> (არსებობის შემთხვევაში): მიზანია დაეხმაროს დოქტორანტს შეისწავლოს საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ემპირიული საერთაშორისო დონეზე დაგროვილი ცოდნა, გაიაზროს კვლევის აქტუალობა, შეისწავლოს ანალოგიურ კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია,ჩამოაყალიბოს კვლევის ჰიპოთეზა/კითხვა, დაგეგმოს კვლევის პროცესი. დოქტორანტი მუშაობს სამეცნიერო ხელმძღვანელთან;
4. <u>პროფესორის ასისტირება:</u> გულისხმობს დოქტორანტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ასისტენტობას სასწავლო პროცესში (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული სამუშაოს ჩატარებას, მიმდინარე შეფასებების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადებას, შეფასებების ჩატარებას, სხვადასხვა სასწავლო კურსების მსვლელობისას პროფესორის ასისტენტის მოვალეობის შესრულებას, ნაშრომების რეცენზირება და სხვ.). პროფესორის ასისტირება შეიძლება განხორციელდეს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ სემესტრში, რაც აისახება დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. ეს კომპონენტი არის სავალდებულო იმ დოქტორანტებისთვის, რომელსაც არ აქვთ სწავლების გამოცდილება; დოქტორანტისთვის, რომელსაც უდასტურდება სწავლების გამოცდილება, ეს კომპონენტი არ არის ვალდებულო, მას შეუძლია თავად არჩევანის გაკეთება ამ კომპონენტის გავლის თაობაზე;
5. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შესწავლის წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და სხვ. მითითებულია შესაბამის სილაბუსებში;
6. პროგრამის სასწავლო კომპონენტში არჩევანის გამჭვირვალობისა და შესაძლებლობის უზრუნველყოფა:

1) არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა: პროგრამის სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში მითითებულია პროგრამის კომპონენტის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, შესწავლის წინაპირობები და სხვ. პროგრამის კურიკულუმის და სასწავლო კომპონენტების სილაბუსების ელ.ვერსიები ატვირთულია ბტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელ.ბაზაში, რაც უზრუნველყოფს არჩევანის გამჭვირვალობას. პროგრამის კურიკულუმი, ასევე, ატვირთულია ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
2) არჩევანის შესაძლებლობის უზუნველყოფა: პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული არჩევითი კომპონენტების კრედიტების ჯამი აღემატება პროგრამის არჩევითი ნაწილისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობას. დოქტორანტი ირჩევს სასურველ არჩევით კომპონენტს და რეგისტრირდება მასზე. სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მას შეუძლია არჩევანის შეცვლა.

12. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ხორციელდება დოქტორანტს ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესაბამისად: დოქტორანტი წარადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტს, კოლოკვიუმს, დადგენილი წესით აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს და ამზადებს სადისერტაციო ნაშრომს. დოქტორანტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი კვლევითი საქმიანობის თაობაზე: მაგ., დამატებითი სამეცნიერო პუბლიკაცია, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო ხელმძღვანელის/სხვ. კვლევით საქმიანობაში ჩართულობა (უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული) და/ან სხვაგვარად ფორმალიზებული სამეცნიერო საქმიანობა;
2. <u>სამეცნიერო კვლევის (სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის) პროექტი</u>: დოქტორანტმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს სამეცნიერო კვლევის (სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის) პროექტი (შემდგომში - სამეცნიერო კვლევის პროექტი). მისი მოზადების და წარდგენის მიზანია წარმოაჩინოს სამეცნიერო ნაშრომის წინასწარი მონახაზი, საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე, სამეცნიერო თეორიული თუ პრაქტიკული ღირებულება, აღწეროს და დაასაბუთოს კვლევის მეთოდების და რესურსების (ლიტერატურა, სხვ.) რელევანტურობა, მოსალოდნელი შედეგები ლოგიკურობა და მიღწევადობა. სამეცნიერო კვლევის პროექ-

ტის მომზადების დროს დოქტორანტი მუშაობს ისეთ კომპონენტზე, როგორიც არის: რელევანტური ლიტერატურის/წყაროების შერჩევა, ლიტერატურის მიმოხილვის რუკა/სქემა, ბიბლიოგრაფია და სხვ. სამეცნიერო კვლევის პროექტის მომზადებაში დახმარებას და დოქტორანტის კონსულტირებას უზრუნველყოფს დოქტორანტის ხელმძღვანელი. სამეცნიერო კვლევის პროექტის წარდგენა გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას (პრეზენტაციას) და პრეზენტაციის შემდგომ დისკუსიას - განხილვის მიზანია დოქტორანტს დაეხმაროს უფრო ნათლად გამოკვეთოს საკვლევი საკითხი, დააზუსტოს კვლევის ასპექტები, უკეთ გაიაზროს და ჩამოაყალიბოს კვლევის კითხვები ან/და ჰიპოთეზები, კვლევის გეგმა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შეზღუდვები და უპირატესობები, განსხვავებული კუთხით დაინახოს და განსაზღვროს საკვლევი საკითხი და მისი აქტუალობა, მიიღოს რეკომენდაციები და რჩევები. პრეზენტაცია ტარდება სადისერტაციო საბჭოს ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის წინაშე. საბჭოს/კომისიას ნაშრომი უნდა გადაეცეს პრეზენტაციამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე (მოთხოვნები კვლევის პროექტისადმი: A4 ფორმატი, 25–30 გვერდი, ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება: CHICAGO-ს საერთაშორისო აკადემიური სტილი, შრიფტი sylfaen, შრიფტის ზომა: ძირითადი ტექსტი - 12, სათაურები - 14, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; დაშორება გვერდებიდან მარცხნიდან - 2.5 სმ., ყველა დანარჩენი მხრიდან-2, სმ. ნაშრომი უნდა იქნეს წარმოდგენილი ამონაბეჭდი და ელ. ფორმით). პრეზენტაციის დროის რეგლამენტი: 20–25 წთ. პრეზენტაცია საჯაროა, მასზე დასწრების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. სამეცნიერო კვლევის პროექტთან დაკავშირებული მასალები ინახება დისერტანტის პირად საქმეში;

3. <u>კოლოკვიუმი</u>: დოქტორანტმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს კოლოკვიუმი კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კოლოკვიუმის მომზადებაში დახმარებას და დოქტორანტის კონსულტირებას უზრუნველყოფს დოქტორანტის ხელმძღვანელი, მენტორი და/ან სხვ. (არსებობის შემთხვევაში). კოლოკვიუმის წარდგენა გულისხმობს როგორც დოქტორანტის მოხსენებას (პრეზენტაციას) კვლევის აქტუალურ საკითხებზე, კვლევის მეთოდოლოგიაზე, კვლევის დაგეგმილ და უკვე მიღწეულ შედეგებზე და სხვ., ისე პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიას, რომლის მიზანია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის, მიღწევების, კვლევის თანამედროვე მეთოდებზე და პრობლემების განხილვა და დოქტორანტისთვის რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა. პრეზენტაციის წარდგენა ხდება სადისერტაციო საბჭოს ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის წინაშე. განხილვაში მონაწილეობენ პირები, რომლებთანაც დოქტორანტს არ აქვს საერთო კვლევა ან ნაშრომთან დაკავშირებული სხვა ინტერესი. საბჭოს/კომისიას ნაშრომი უნდა გადაეცეს პრეზენტაციის ჩატარებამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე (მოთხოვნები ნაშრომისადმი: A4 ფორმატი, 25–30 გვერდი, ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება: CHICAGO-ს საერთაშორისო აკადემიური სტილი, შრიფტი sylfaen, შრიფტის ზომა - ძირითადი ტექსტი - 12, სათაურები - 14, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; დაშორება მარცხნიდან - 2,5 სმ., ყველა დანარჩენი მხრიდან - 2,0 სმ. ნაშრომი უნდა იქნეს წარმოდგენილი ამონაბეჭდი და ელ.ფორმით). პრეზენტაციის დროის რეგლამენტი: 20–25 წთ. პრეზენტაცია საჯაროა, მასზე დასწრების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. კოლოკვიუმთან დაკავშირებული მასალები ინახება დისერტანტის პირად საქმეში;

4. <u>სამეცნიერო პუბლიკაციები:</u> დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ ორი პუბლიკაცია კვლევის თემაზე: 1) ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, 2) ერთი სტატია შეიძლება იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში ან საქართველოში/უცხოეთში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში. გამოქვეყნებულ პუბლიკაციასთან გათანაბრებულია: კვლევის პროცესში/კვლევის შედეგად გამოცემული ნაშრომი, გამოგონებების დიპლომები, საავტორო მოწმობები, გამოგონების პატენტები და სხვ. პუბლიკაცია გამოქვეყნებულად ჩაითვლება, თუ ჟურნალის შესაბამისი ნომერი უკვე დაბეჭდილია/ოფიციალურად მიღებულია დასაბეჭდად (არსებობს ამის დოკუმენტური დადასტურება), პუბლიკაცია განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. <u>სამეცნიერო ნაშრომი:</u> სამეცმიერო-კვლევითი კომპონენტის დასკვნითი შემაჯამებელი ნაწილია სამეცნიერო ნაშრომი (შემდგომში - დისერტაცია). დისერტაცია არის საავტორო ნაშრომი და ხელნაწერის უფლების მქონე სამეცნიერო ნაშრომის ფორმა, რომელიც მომზადებულია საჯარო დაცვისათვის:

1) დისერტაცია წარმოადგენდეს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალურად დაწერილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც უნდა ასახავდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი თეორიული და/ან ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს;
2) დისერტაცია უნდა მეტყველებდეს მეცნიერებაში დოქტორანტის მიერ შეტანილ წვლილზე და მას უნდა ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შექონდეს დარგის განვითარებაში. გამოყენებითი

ხასიათის დისერტაციაში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია მიღებული სამეცნიერო შედეგების პრაქ-ტიკული გამოყენების შესახებ, თეორიული მნიშვნელობის დისერტაციაში კი - სამეცნიერო დასკვნების გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;

3) დისერტაცია არის ნაშრომი, რომელშიც დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია თეორიული დებულებები, რომელთა ერთობლიობა შეიძლება იყოს დახასიათებული როგორც, მაგ.: სამეცნიერო მიღწევა, სოციალური/დარგობრივი/სხვ. მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო პრობლემის გადაჭრა, მნიშვნელობანი ტექნიკური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური ინოვაციები, შე-საბამისი დარგისთვის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრის გზები ან/და სხვ.;
4) დისერტაცია უნდა მოიცავდეს ახალი მიგნებების და სამეცნიერო დებულებების ერთობლიობას, რო-მლებიც დისერტანტს გამოაქვს საჯარო დაცვაზე. დოქტორანტის მიერ შეთავაზებული მიგნებები, რე-კომენდაციები და დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული და კრიტიკულად შეფასებული სფეროში უკ-ვე არსებულ ცოდნასთან შედარების გზით;
5) უნდა განისაზღვროს დისერტაციის არსი, რაც მნიშვნელოვანია სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი შე-დეგების განსაზღვრისთვის. აუცილებელია მოკლედ აღიწეროს სამუშაოს თავისებულებები, რომლე-ბიც განასხვავებენ სამუშაოს უკვე არსებული ანალოგებისაგან;
6) სამეცნიერო ნაშრომი იწყება კვლევითვის შერჩეული პრობლემის ფორმულირებით, ანუ იმ საკითხების ერთობლიობის განსაზღვრით, რომლებზეც დღეისათვის პასუხები არ არსებობს. ამისთვის აუცილე-ბელია არსებული ცოდნის ანალიზი და კრიტიკული გააზრება. ყველა დასმული კითხვის გააზრება დაკავშირებულია სამეცნიერო ნაშრომის გეგმასთან;
7) დისერტაციას უნდა ახასიათებდეს სტრუქტურული და მეთოდოლოგიური ერთობლიობა და ჰქონდეს დასრულებული კვლევის სახე;
8) დისერტაციის სახელწოდება წარმოადგენს ინფორმაციას, რომლიდანაც უნდა ჩანდეს კვლევის რა ობი-ექტზე და კვლევის რა შედეგე იქნება საუბარი დისერტაციაში. სახელწოდება უნდა იყოს მაქსიმალუ-რად ლაკონური და კონკრეტული. სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს შედეგების არსს. დისერტაცი-ის სახელწოდებაში არ უნდა იყოს გამოყენებული სხვა სამეცნიერო სპეციალობის საკვანძო სიტყვები. დისერტაციის სახელწოდება უნდა იყოს სტილისტურად გამართული და არ უნდა იყოს ტერმინოლო-გიით გადატვირთული. დასახელება არ უნდა შეიცავდეს შემოკლებულ ან პირობით დასახელებებს, რომლებიც გასაგებია მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის. თუ ტერმინს აქვს ქართული შესატ-ყვისი, სასურველია ქართული დასახელების გამოყენება;
9) დისერტაციის სარჩევი უნდა იძლეოდეს მკაფიო წარმოდგენას შესრულებული კვლევის თემატიკის და შედეგების შესახებ. დისერტაციის ტექსტის თავებად და პარაგრაფებად დაყოფისა და ამ თავების და პარაგრაფების დასახელებების შერჩევისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება დისერტაციის სა-კვანძო საკითხებზე;
10) დისერტაციის ტექსტი უნდა მეტყველებდეს სამეცნიერო სტილის გამოყენების, ჩატარებული კვლევის შედეგების ლაკონურად, არგუმენტირებულად, სტრუქტურირებულად გადმოცემის, დაცვის უნარზე;
11) დისერტაცია, როგორც სამეცნიერო ნაშრომი, ეყრდნობა სფეროში უკვე არსებულ ცოდნას, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული დასკვნების დასაბუთებისთვის და ცოდნის საერთო სისტემაში ჩატა-რებული კვლევის ადგილის დასაზუსტებლად. სხვა ავტორების ციტირებისას აუცილებელია, რომ ცი-ტატა იყოს ლოგიკურ კავშირში დისერტაციის ტექსტთან. ციტატებს იყენებენ საკუთარი აზრის განსამ-ტკიცებლად ან სხვადასხვა მოსაზრებების შეპირისპირების მიზნით. დაუშვებელია დაუსაბუთებელ მოსაზრებებზე დაყრდნობა ან ავტორის მითითების გარეშე ციტატის გამოყენება. დოქტორანტი ვალ-დებულია დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის მოთხოვნები - მიუთითოს მის მიერ გამოყენებული ინფორმაცია/მონაცემების/სხვ. ავტორი/წყარო, საიდანაც მოიძია გამოყენებული მასალები, თუ კვლევის ნაწილი ტარდებოდა სხვა მკვლევარებთან ერთობლივად, აუცილებელია ამის აღნიშვნა. დოქტორანტი პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი მასალების ნამდვილობაზე. ნაშ-რომის აუტენტურობაზე და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვაზე. სხვისი მა-სალების გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე განიხილება როგორც პლაგიატი. აკადემიუ-რი კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის, მათ შორის პლაგიატის, დადასტურების შემთხვე-ვაში დოქტორანტი კარგავს ამ სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის უფლებას და მის მიმართ იქნება გამოყენებული ბტუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული სადისციპლინო სანქცია;
12) დისერტაციის ძირითადი სამეცნიერო შედეგები უნდა გამოქვეყნდეს სამეცნიერო გამოცემებში (აღწე-რილია წინამდებარე დებულებაში);
13) დისერტაცია უნდა იყოს გაფორმებული ამ დებულებაში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და

იყოს შესრულებული CHICAGO-ს საერთაშორისო აკადემიური სტილით;

14) დისერტაციის წარდგენა, საჯარო დაცვა და ამასთან დაკავშირებული მოთხოვნები/პროცედურები ხორციელდება წინამდებარე დებულებით აღწერილი წესით.

13. დოქტორანტის შეფასება

1. შეფასების ძირითადი პრინციპები

- საჯაროობის პრინციპი - შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის;
- გამჭვირვალობის პრინციპი - ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების და შეფასების პერიოდულობის შესახებ უნდა იყოს ამომწურავი;
- თანასწორობის პრინციპი - ყველა დოქტორანტი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. თითოეულს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა კომპეტენციების გამოსავლენად;
- სამართლიანობის პრინციპი - ყველა დოქტორანტის შეფასება უნდა მოხდეს ერთიანი წესით.

2. დოქტორანტთა შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სისტემით;

3. პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება:

1) შეფასების სისტემა

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91 - 100	A	ფრიადი
	81 - 90	B	ძალიან კარგი
	71 - 80	C	კარგი
	61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 - 60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41 - 50	Fx	ვერ ჩააბარა (დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით შფასებაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 - 0	F	ჩაიჭრა (დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის შესაბამისი სასწავლო კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი)

2) პროგრამის კომპონენტების შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ქულათა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას. შეფასების ორივე ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც სილაბუსის მოთხოვნათა შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასება მიღებულად ითვლება ამ შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით;

3) Fx შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი შეფასება დანიშნება დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში;

4) შეფასების შედეგის გამოცხადდება: დასკვნითი შეფასების ჩატარებიდან არაუმეტეს 05 დღეში; დამატებითი შეფასების ჩატარებიდან - არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში;

5) დამატებით შეფასებაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში უკვე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით შეფასებაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

6) დამატებით შეფასებაზე მიღებული ქულების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში ფორმდება შეფასება F;

7) კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ დოქტორანტის მიერ პროგრამის კომპონენტის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

4. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება:

1) შეფასების სისტემა

შეფასება	
summa cum laude	ფრიადი - შესანიშნავი ნაშრომი
magna cum laude	ძალიან კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
cum laude	კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
bene	საშუალო - შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
rite	დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო

sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

2) სამეცნიერო ნაშრომი (დისერტაცია) შეფასდება იმავე/მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას და ამ დებულების და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საჯარო დაცვისთვის (არაუგვიანეს პროგრამის მე-5 აკადემიური წლისა);
3) შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით);
4) შეფასებას ახდენს სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია;
5) დისერტაცია დაცულად ითვნება, თუ სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრთა შეფასებებით მიღებულია არანაკლებ „rite/დამაკმაყოფილებები“ შეფასება;
6) შეფასება „insufficienter“ მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;
7) შეფასება „sub omni canone“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

5. აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA-ს გამოთვლის პრინციპი:

1) ქვემოთ მოცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (კოეფიციენტების) გაანგარიშების ერთ-ერთი მიზანია ბტუ-ში მიღებული შეფასებების აღიარების გამარტივება იმ უსდ-ის მიერ, რომელიც იყენებს საქართველოში მოქმედისგან განსხვავებულ, მათ შორის, GPA (Grade Point Average) შეფასების სისტემას, და საქართველოში მოქმედ შეფასების სისტემასთან ასეთ უსდ-ში მიღებული შეფასებების თავსებადობის დადგენა. პროგრამის სასწავლო კომპონენტის სემესტრის/აკადემიური წლის GPA დამოკიდებულია სემესტრში/აკადემიურ წელს მისაღები და დოქტორანტის მიერ მიღებული კრედიტების რაოდენობაზე და პროგრამის კომპონენტებში მიღებულ შეფასებებზე (ქულებზე);
2) ქვემოთ მოცემული გამოთვლები შესრულდება დამატებითი შეფასებების ჩატარების შემდეგ, რადგან Fx შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს დამატებით შეფასებაზე მიღებული ქულით შეიძლება დაუგროვდეს ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა (კრედიტი ჩაეთვალოს მიღებულად). გაანგარიშებისას მიღებული ციფრები მრგვალდება შემდეგი პრინციპით: ოთხი და ოთხს ქვევით - სიმცირისაკენ, ხოლო ხუთი და ზევით - მეტობისაკენ;
3) ბტუ-ში დოქტორანტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება მიღებული ქულებით (ზემოთ მითითებული 100-ქულიანი სისტემით) და აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA);
4) პროგრამის კომპონენტის GPA გამოითვლება ფორმულით: GPA = (X - 50) x 0.06 + 1.0, სადაც X - არის პროგრამის კომპონენტში მიღებული ქულა (100-ქულიანი სისტემით).

100-ქულიანი სისტემის ქულები	შესაბამისი GPA ქულა
100	4
99	3,94
98	3,88
97	3.82
X	(X-50) x 0,06+1.0
51	1,06
1-50	0

GPA გამოითვლება მხოლოდ პროგრამის იმ კომპონენტებისთვის, სადაც დოქტორანტს მიღებული აქვს კრედირი (ერთ-ერთი დადებითი შეფასება);

5) სემესტრის $GPA_{(S)}$: სემესტრში ყველა მიღებული „GPA“ მრავლდება კრედიტების რაპდენობაზე და მათი ჯამი იყოფა სემესტრში მისაღები კრედიტების რაოდენობაზე ΣCR=30 (ან სხვა, რამდენზეც იყო დარეგისტრირებული დოქტორანტი): $GPA_{(S)} = \Sigma(GPA \times CR) / \Sigma CR$
6) აკადემიური წლის $GPA_{(a)}$. აკადემიურ წელს ყველა მიღებული „GPA“ მრავლდება კრედიტების რაოდენობაზე და მათი ჯამი იყოფა აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები კრედიტების რაოდენობაზე (რამდენზეც იყო დარეგისტრირებული დოქტორანტი): $GPA_{(a)} = \Sigma(GPA \times CR) / \Sigma CR$
7) პროგრამის $GPA_{(p)}$. ყველა მიღებული „GPA“ მრავლდება კრედიტების რაოდენობაზე და მათი ჯამი იყოფა პროგრამის კრედიტების რაოდენობაზე: $GPA_{(p)} = \Sigma(GPA \times CR) / \Sigma CR$;
8) თუ დოქტორანტს არ აქვს დაცული სადისერტაციო ნაშრომი, მაშინ პროგრამის და დიპლომის GPA=0

14. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა

1. ბტუ-ს მიერ მოქმედი პროგრამის არსებითი შეცვლის (მოდიფიცირების) ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში: ა) მოხდება ამ პროგრამის დოქტორანტების წინასწარი ინფორმირება, ბ) პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში მათ მიეცემათ მოქმედი (მოდიფიცირებამდე/გაუქმებამდე არ-

სებული) პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა დაწყებული სემესტრის დასრულებამდე. პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში დოქტორანტებისთვის იქნება შეთავაზებული მოდიფიცირებული პროგრამით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება. მითითებულ შემთხვევებში დოქტორანტს შეუნარჩუნდება განათლებით მომსახურების ხელშეკრულებაში დადგენილი სწავლის საფასური პროგრამის შეცვლით გამოწვეული დამატებითი გადასახადების გარეშე, გ) პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა პროგრამის ვადაში (3 წელი) ინდივიდუალური კვლევითი გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე კვლევის დასრულების შესაძლებლობა;
2. დოქტორანტი თავისუფალია თავის არჩევანში, მას შეუძლია: მიიღოს ზემოთ მითითებული ბტუ-ს შეთავაზება და სწავლა/კვლევა გააგრძელოს ბტუ-ში; ისარგებლოს მობილობის უფლებით. თუ დოქტორანტმა უარი თქვა ბტუ-ში სწავლის/კვლევის გაგრძელებაზე და ზემოთ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ არ ისარგებლა მობილობის უფლებით, მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;
3. დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტში მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების და დაწყებული კვლევის გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე და ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად პროგრამის განხორციელების შეწყვეტამდე ბტუ გააფორმებს შეთანხმებას იმ უსდ-სთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიურ პროგრამას და აქვს დოქტორანტის დაწყებული კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა.

3. დოქტორანტურაში მიღების გამოცხადება. დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

1. დოქტორანტურაში მიღების გამოცხადება

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისთვის;
2. ბტუ-ს აკადემიური საბჭო განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამაზე/პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობას;
3. დოქტორანტურაში მიღება და მისაღები კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელშიც მიეთითება: კონკურსის ეტაპები და მათი ვადები; წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საბუთების წარდგენის ფორმა (მატერიალური/ელექტრონული), ვადა და საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი; შიდა გამოცდების/სხვ. ჩამონათვალი (ტექტირების, ზეპირი, წერითი ან კომბინირებული ფორმა; გასაუბრება კვლევის მიმართულებაში, სხვ.), მათი ჩატარების და გასაჩივრების ვადები, საგამოცდო/საკონკურსო დარგობრივი და საპრეტენზიო (სააპელაციო) კომისიების შემადგენლობა და სხვ.

2. საკონკურსო დარგობრივი კომისია

რექტორის ბრძანებით მაქსიმუმ ერთი წლის ვადით (ვადა შეიძლება ავტომატურად გაგრძელდეს ახალი ბრძანების გამოცემამდე, თუ არ არებობს ვადის გაგრძელების გამომრიცხავი გარემოებები) სადისერტაციო საბჭოს წევრთაგან იქმნება საკონკურსო დარგობრივი კომისია, რომელშიც ასევე შეიძლება შევიდნენ ბტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები და/ან ამ მიზნით მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე გარე პირები. კომისიის მიზანია უზრუნველყოს როგორც დოქტორანტობის კანდიდატების, ისე ბტუ-ში მობილობით გადმოსვლის მსურველი დოქტორანტების საბუთების შესწავლა და მათთან გასაუბრების ჩატარება (კომისიის სხდომის უფლებამოსილების ცნობა, გადაწყვეტილების მიღება და საოქმო წარმოება მიმდინარეობს ფაკულტეტის შიდა გამოცდების/ტესტირების კომისისთვის დადგენილის შესაბამისად, ბტუ-ში მოქმედი შეფასების ფორმების გამოყენებით).

3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვა. დოქტორანტი

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უსდ-ს კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
2. დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია მიმართოს ბტუ-ს და ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადაში გაიაროს რეგისტრაცია, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის ბტუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 05 კალენდარულ დღეზე ნაკლები (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). ბტუ-ს შიდა გამოცდებზე და გასაუბრებაზე დაშვების მიზნით დოქტორანტობის კანდიდატი ავსებს სარეგისტრაციო განცხადებას, წარადგენს სავალდებულო დოკუმენტებს;
3. დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში (ჩარიცხვის ერთიანი აქტის გამოცემამდე) ბტუ-ში გამოცხადების და საბუთების წარდგენის უფლება შეიძლება მიეცეს დოქტორანტობის კანდიდატს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა (რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების დარღვევის საპატიო მიზეზად), რის გამოც შეუძლებელი გახდა ვადების დაცვა. განცხა-

დების წარდგენის და პასუხის მიღების წესები და ვადები რეგულირდება ბტუ-ს შინაგანაწესით. ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა დაინტერესებულ პირს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოხდება დოქტორანტობის კანდიდატის ინფორმირება, მას მიეცემა განსხვავებულ ვადებში საბუთების წარდგენის და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე გასვლის შესაძლებლობა;

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება:

1) არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დამატებითი მოთხოვნები - პროგრამის კურიკულუმში მითითებულის შესაბამისად);
2) პროგრამის კურიკულუმში (დაშვების წინაპირობებში) მითითენული უცხოური ენის შესაბამის დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს ბტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით, უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატით ან ამ უცხოურ ენაზე მიღებული განათლებით (მაგ. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ატესტატით/დიპლომით). უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისგან და სერტიფიკატის/სხვ. წარდგენისგან თავისუფლდებიან დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებსაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ ამ უცხოურ ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების დასრულების შედეგად. უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში აუცილებელია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა;
3) დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბაროს ბტუ-ს შიდა გამოცდა ქართულ ენაში. სერტიფიკატის წარმოდგენისა და ქართული ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებსაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ საქართველოს უსდ-ების მიერ ქართულენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის შედეგად;
4) სადისერტაციო საბჭოს მიერ და პროგრამის წინაპირობებით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე განთავსდება ბტუ-ს ვებგვერდზე.

5. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარადგინოს:

1) განცხადება ბტუ-ს რექტორის სახელზე პროგრამის დასახელების მითითებით (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი) და დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებაში ბტუ-ს მიერ მითითებული დოკუმენტები;
2) არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
3) სხვა ქვეყნის უსდ-ში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო და ბტუ-ს მიერ დამატებით მოთხოვნილ (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) დოკუმენტებს;
4) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
5) CV (დადასტურებული ინფორმაცია განათლების და შრომითი საქმიანობის შესახებ);
6) ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (4 ფოტოსურათი, CD/DVD დისკზე - მატერიალური ფორმით დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში);
7) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
8) შერჩეული საკვლევი თემის კონცეფცია, რომელიც ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე მოახდენს ინოვაციური, შემოქმედებითი იდეების გენერირებას და ახალი ცოდნის შექმნას (პრობლემის კომპლექსურობა, კვლევის მოსალოდნელი მიზანი, საკვლევი ჰიპოთეზა, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგის, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, მათი გავლენა კვლევის სფეროზე, 1000-1500 სიტყვა);
9) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის წერილი, რომლითაც დასტურდება მისი მზაობა უხელმძღვანელოს დოქტორანტობის კანდიდატს პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. თანხმობის წე-

რილში, ხელმძღვანელმა უნდა დაასაბუთოს შერჩეული თემის აქტუალობა, მნიშვნელობა და/ან ბტუ-ს მიერ პრიორიტეტულად აღიარებული მიმართულებებისადმი შესაბამისობა;

10) პროგრამის კურიკულუმში (დაშვების წინაპირობებში) მითითებული უცხოური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
11) დოქტორანტობის კანდიდატი, რომლისთვისაც მშობლიური ენა არ არის ქართული და სურს ბტუ-ს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა, წარადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ დოკუმენტს (არსებობის შემთხვევაში);
12) სხვა დოკუმენტები, თუ ასეთი მოთხოვნა მითითებულია პროგრამაზე მიღების გამოცხადებაში;
13) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც განცხადებას, ხელშეკრულებას ხელს აწერს სწავლის მსურველის კანონიერი წარმომადგენელი, ასევე წარსადგენია: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობის/ID ბარათი), მეურვეობის/სხვ. დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა ამ დებულებით დადგენილ პირობებთან შესაბამისობა და დოქტორანტობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება:

1) კონკურსის პირველი ეტაპი - წარმოდგენილი დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება-დადასტურება, ასევე, შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების არარსებობის შემთხვევაში უცხოურ (ამ დებულებაში მითითებულ შემთხვევებში - ასევე, ქართულ) ენაში გამოცდის (ტესტირება, ზეპირი, წერითი ან კომბინირებული ფორმა) ჩაბარება და მოთხოვნილ დონეზე ფლობის დადასტურება, რაც არის დაშვების პირობა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე/გამოცდებზე (თუ ეს გამოცდა/გამოცდები გათვალისწინებულია პროგრამის კურიკულუმში), რომლითაც უნდა მოხდეს მოთხოვნილ სფერო(ებ)ში კომპეტენციის დადასტურება. კონკურსის პირველი ეტაპის დაძლევა (ყველა ზემოთ მოთხოვნილი პირობის დაკმაყოფილება) არის კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვების წინაპირობა;
2) კონკურსის მეორე ეტაპი - დოქტორანტობის კანდიდატი გადის საკონკურსო დარგობრივ კომისიასთან გასაუბრებაზე და წარადგენს კვლევის ხედვას (საკვლევი თემა/პრობლემა და მისი აქტუალობა, პრობლემის კომპლექსურობა, კვლევის მიზანი, საკვლევი ჰიპოთეზა, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, მათი გავლენა კვლევის სფეროზე და ა.შ.);
3) პირი დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხოს თუ დააკმაყოფილებს პროგრამაზე სწავლისთვის დადგენილ ყველა პირობას. ჩარიცხვა ხდება გამოცხადებული ვაკანტური ადგილების ფარგლებში, კონკურსის შედეგების საფუძველზე;
4) თანაბარქულიანი დოქტორანტობის კანდიდატთა შემთხვევაში მხედველობაში მიიღება: კვლევის ხედვაში მიღებულ შეფასება, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა/რაოდენობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, პატენტები, ა.შ.).

7. კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტობის კანდიდატები, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტურაში ჩაირიცხებიან ბტუ-ს რექტორის ბრძანებით. დოქტორანტურაში ჩარიცხვა (ბტუ-სთან ხელშეკრულების გაფორმება და რექტორის მიერ დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა) უნდა მოხდეს სწავლის დაწყებამდე. დოქტორანტის ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ინახება დოქტორანტის პირად საქმეში;

8. დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირს აქვს სტუდენტის სტატუსი (არის დოქტორანტი) წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე.

4. სემესტრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. **რეგისტრაციის ვადები.** სემესტრულ ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას ბტუ-ს დოქტორანტი გადის სემესტრის დაწყებამდე ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში რეგისტრაციის გავლის უფლება შეიძლება მიეცეს დოქტორანტს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა, რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების საპატიო მიზეზად. მითითებულ შემთხვევებში დოქტორანტი ვალდებულია მიმართოს რექტორს განცხადებით, მიუთითოს რეგისტრაციის ვადის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები და ითხოვოს დამატებით ვადაში რეგისტრაციის გავლის უფლება. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა დოქტორანტს ბტუ-ში განცხა-

დებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა განსხვავებულ ვადაში რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა. რეგისტრაციის არ გავლის შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერება სემესტრის მესამე კვირის დაწყებისთანაცე.

2. **სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია.** ამით ბტუ-ს დოქტორანტი ადასტურებს ბტუ-ში სწავლის და/ან კვლევის გაგრძელების სურვილს, რეგისტრაცია გულისხმობს დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) დადასტურებულ გადახდას (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სწავლის საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ან ბტუ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით).

3. **აკადემიური რეგისტრაცია** (სასწავლო კომპონენტი)**.** აკადემიური რეგისტრაციის წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. აკადემიური რეგისტრაციის დროს დოქტორანტი რეგისტრირდება: პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე და მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსებზე, ასევე, პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე, რომლებიც წარმოადგენს მობილობის შედეგად მისაღებ კრედიტებს ან რომლებიც ახლიდან აქვს შესასწავლი მიღებული უარყოფითი (F) შეფასების გამო.

4. **დამატებითი კრედიტები** (სასწავლო კომპონენტი). დოქტორანტმა, რომელსაც სურს დამატებითი კრედიტების მიღება (შედეგის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის კონკრეტული კომპონენტ(ებ)ის განმეორებით შესწავლა), აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს განცხადებით. გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: 1) პირველ რიგში აუცილებელია აკადემიური რეგისტრაციის გავლა ა) პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე, ბ) პროგრამის იმ კომპონენტებზე, რომლებშიც მისაღებია კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო, გ) არჩევითი სასწავლო კურსებზე; 2) სემესტრში განსაზღვრულზე მეტ კრედიტებზე რეგისტრაცია დასაშვებია, თუ დატვირთვა არ გახდება შესაბამისი სემესტრისთვის დადგენილზე მეტი; 3) დოქტორანტის სურვილით პროგრამის კომპონენტის განმეორებით შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ საჯარო დაცვის მიზნით სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე; 4) მითითებული შემთხვევა იწვევს დამატებით ფინანსურ (შესაბამისი კრედიტების საფასურის გადახდის) ვალდებულებას.

5. **არჩევანის შეცვლა** (სასწავლო კომპონენტი)**.** სემესტრის დაწყებიდან მაქსიმუმ 01 (პირველი) კვირის ვადაში შესაძლებელია არჩევანის შეცვლა - სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გაუქმება და სხვა სასწავლო კურსის არჩევა. განცხადებით არჩევანის შეცვლის შესახებ დოქტორანტი მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. ცვლილება აისახება დოქტორანტის ინდივისუალურ სასწავლო გეგმაში.

6. **სასწავლო ჯგუფი** (სასწავლო კომპონენტი)**.** ჯგუფი, რომელშიც სტუდენტთა რაოდენობა არის 5-ზე ნაკლები, მიიჩნევა მცირერიცხოვან ჯგუფად. ბტუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სილაბუსებში დადგენილი მოთხოვნების დაცვით მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შემუშავების ან სასწავლო ჯგუფის გაუქმების შესახებ (ამ შემთხვევაში წინასწარ მოხდება დოქტორანტების წინასწარი ინფორმირება და იმავე სასწავლო კურსების/მოდულის შემსწავლელ სხვა ჯგუფთან (არსებობის შემთხვევაში) გაერთიანება - ამის შეუძლებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესი გაგრძელდება სემესტრის დასრულებამდე. გადაწყვეტილების მიღება და დოქტორანტების ინფორმირება მოხდება აკადემიური რეგისტრაციის დასრულებამდე.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდემტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბტუ-ს და დოქტორანტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტატუსის შეჩერება შესაძლებელია ჯამში არაუმეტეს 05 წლით, რის შემდეგ დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი (დოქტორანტებისთვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით წინამდებარე წესით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა იწყება 2024 წლის პირველი მარტიდან).. ბტუ-ში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: სტატუსის შეჩერების შესახებ დოქტორანტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება; უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი პროგრამით სწავლისა); ორსულობა; მშობიარობა; ბავშვის მოვლა; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ადმინისტრაციული და/ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა; ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა; სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ

ეს გამორიცხავს სასწავლო/კვლევის პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. დოქტორანტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სწავლების/კვლევის ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც დოქტორანტმა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: დოქტორანტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პროგრამის დასახელება, თარიღი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეჩერება, განცხადებს თარიღი. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტით ბტუ-ს ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} - 17^{00} სთ). თუ დოქტორანტი სემესტრის დაწყებიდან 05 სამუშაო დღეში მიმართავს რექტორს განცხადებით სტატუსის შეჩერების შესახებ, მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ თანხა არ დაუბრუნდება (ბტუ-ში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რექტორის განკარბულებით ამ ვადის გასვლის შემდეგ დოქტორანტის პირადი განცხადების საფუძველზე მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება განცხადების დადგენილი წესით ბტუ-ში გაგზავნიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით;
3. ბტუ-ს გადაწყვეტილებით დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება შემდეგი პირობების დაცვით: დოქტორანტი, რომლის მიმართ დაწყებულია სტატუსის შეჩერების წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული ამის შესახებ, მას უნდა მიეცეს ახსნა-განმარტების წარმოდგენის და არაუმეტეს 02 კვირის ვადაში სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შესაძლებლობა გარდა შემთხვევებისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ბტუ-ს მიერ სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს გადახდილი სწავლის საფასური არ დაუბრუნდება (ბტუ-ში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რექტორის განკარგულებით ამ ვადის გასვლის შემდეგ დოქტორანტის პირადი განცხადების საფუძველზე მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება დოქტორანტის მიერ განცხადების დადგენილი წესით ბტუ-ში გაგზავნიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით;
4. დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით.

6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების ჯამური ხანგრძლივობა არ აღემატება 05 წელს (დოქტორანტებისთვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით წინამდებარე წესით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა იწყება 2024 წლის პირველი მარტიდან). ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა;
2. სტატუსის აღდგენის მიზნით დოქტორანტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს ბტუ-ს მიერ სტატუსის აღდგენისთვის დადგენილ ვადაში (როგორც წესი, სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდში, სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} სთ-დან 17^{00} სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში სტატუსის აღდგენის მოთხოვნის უფლება შეიძლება მიეცეს დოქტორანტს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა (რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების საპატიო მიზეზად), რის გამოც შეუძლებელი გახდა ვადების დაცვა. განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების შესახებ პასუმიღების წესები და ვადები რეგულირდება ბტუ-ს შინაგანაწესით. მითითებულ შემთხვევებში დოქტორანტი ვალდებულია მიმართოს რექტორს განცხადებით, მიუთითოს ვადის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების და თანდართული დოკუმენტების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა დოქტორანტს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
4. თუ პროგრამის სასწავლო კომპონენტმა, რომელზეც სტატუსის შეჩერებამდე სწავლობდა დოქტორანტი, განიცადა ცვლილებები, დოქტორანტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება: ა) ბტუ-ში სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, ბ) ბტუ-ში სტატუსის აღდგენის და სწავლის გაგრძელების შესახებ. ამ შემთხვე-

ვაში ხდება სტატუსის შეჩერებამდე შესწავლილი კომპონენტების შესაბამისობის დადგენა იმ პროგრამასთან, რომლითაც სწავლა გაგრძელდება ბტუ-ში სტატუსის აღდგენის შემდეგ. თავსებადობა დგინდება ამ დებულებაში აღწერილი განათლების/სწავლის შედეგების (კრედიტების) აღიარების წესით. დასკვნის და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დოქტორანტის ინფორმირება მოხდება განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. დოქტორანტის თანხმობის შემთხვევაში ხდება სტატუსის აღდგენა;

5. დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. ბტუ-ში დოქტორანტისთვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტუდენტის სტატუსის შეჩერების ჯამური 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან ბტუ-ს წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ბტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას (იმ სტატუსშეჩერებული დოქტორანტებისთვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით წინამდებარე წესით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა იწყება 2024 წლის პირველი მარტიდან); სტატუსის შეწყვეტის შესახებ დოქტორანტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); მობილობით სხვა უსდ-ში სწავლის/კვლევის გაგრძელება; პროგრამით სწავლის დასრულება; აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის მიერ პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა/მიუღწევლობა (პროგრამით სწავლისთვის დადგენილ ვადაში პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა და კვალიფიკაციის მინიჭების შეუძლებლობა); სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა (ბტუ-ში დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას); კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ბტუ-სთვის წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუუნაროდ ცნობა ან სხვა გათვალისწინებული შემთხვევები. აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის/მიღწევის შეუძლებლობის საფუძვლით სტატუსის შეწყვეტა ხდება თუ თუ ბტუ-ს და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მომენტისთვის: ა) პროგრამის შესასრულებელი პირობებიდან (მისაღები კრედიტების რაოდენობა, კვლევა, სხვ.) გამომდინარე შეუძლებელია პროგრამისთვის დადგენილ დამატებით ვადაში პროგრამის მოთხოვნების შესრულებლობა და კვალიფიკაციის მინიჭება; ბ) პროგრამის შესასრულებელი პირობებიდან (მისაღები კრედიტების რაოდენობა, კვლევა, სხვ.) გამომდინარე შესაძლებელია დამატებით ვადაში პროგრამის მოთხოვნების შესრულებლობა და კვალიფიკაციის მინიჭება, მაგრამ არ არსებობს ბტუ-ში დადგენილ ვადაში და წესით სათანადოდ დადასტურებული დოქტორანტის ნება დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელების შესახებ; გ) დამატებით ვადაში პროგრამის გაგრძელების მიუხედავად, პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო შეუძლებელია კვალიფიკაციის მინიჭება

2. დოქტორანტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სწავლების/კვლევის ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც მან (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: დოქტორანტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პროგრამის დასახელება, თარიღი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეწყვეტა, განცხადებს თარიღი. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტით ბტუ-ს ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} - 17^{00} სთ). თუ დოქტორანტი სწავლების დაწყებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს განცხადებით სტატუსის შეწყვეტის შესახებ, მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება განცხადების დადგენილი წესით ბტუ-ში გაგზავნიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით. ბტუ-ს გადაწყვეტილებით დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება შემდეგი პირობების დაცვით: დოქტორანტი, რომლის მიმართ დაწყებულია სტატუსის შეწყვეტის წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული ამის შესახებ; პირს დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცმიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით;

3. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით. სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ით-

ვლება შეჩერებულად და დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

8. მობილობა

1. დოქტორანტურის პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბტუ-ს (შიდა მობილობა) და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) დოქტორანტებისთვის;
2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის ფარგლებში კანონმდებლობის მოთხოვნების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ბტუ-ში მოქმედი წესების დაცვით;
3. მობილობის უფლება აქვს დოქტორანტს, რომელიც უსდ-ში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის მომენტისათვის არის უსდ-ს დოქტორანტი, აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მობილობის უფლება დოქტორანტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ (სწავლების პერიოდში არ შედის დრო, რომლის განმავლობაში დოქტორანტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი);
4. მობილობა (ასევე, შიდა მობილობა) შესაძლებელია გამოცხადდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ (ბტუ-ს გადაწყვეტილებით);
5. ბტუ-ს პროგრამაზე მობილობით სწავლის/კვლევის გაგრძელებისთვის აუცილებელი იმავე მოთხოვნების შესრულება და პროცედურების გავლა, რაც დადგენილია წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტში „დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვა. დოქტორანტი“;
6. მობილობის მსურველი ვალდებულია ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე) მიმართოს ბტუ-ს და გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სარეგისტაციო განცხადების შევსებას და სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენას. სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

1) განცხადება რექტორის სახელზე (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი) და მიღების გამოცხადების განცხადებაში ბტუ-ს მიერ დადგენილი დოკუმენტები;
2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
3) ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (4 ფოტოსურათი, CD/DVD დისკზე - მატერიალური ფორმით დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში);
4) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
5) არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის (დამატებითი მოთხოვნები - პროგრამის კურიკულუში მითითებულის შესაბამისად) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. სხვა ქვეყნის უსდ-ში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები). ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო და ბტუ-ს მიერ დამატებით მოთხოვნილ (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) დოკუმენტებს;
6) უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი ჩარიცხვის ბრძანებიდან, ცნობა დოქტორანტის სტატუსის შესახებ, არსებობის შემთხვევაში - ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება), ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;
7) საკვლევი თემის კონცეფცია (მოთხოვნები - დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის დადგენილის შესაბამისად, მათ შორის გასაუბრება);
8) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის წერილი, რომლითაც დასტურდება მისი მზაობა უხელმძღვანელოს კანდიდატს პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. თანხმობის წერილში, ხელმძღვანელმა უნდა დაასაბუთოს შერჩეული თემის აქტუალობა, მნიშვნელობა და/ან ბტუ-ს მიერ პრიორიტეტულად აღიარებული მიმართულებებისადმი შესაბამისობა;
9) პროგრამის კურიკულუმში (დაშვების წინაპირობებში) მითითენული უცხოური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
10) დოქტორანტი, რომლისთვისაც მშობლიური ენა არ არის ქართული და სურს ბტუ-ს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის/კვლევის გაგრძელება, წარადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ

სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

11) სხვა დოკუმენტები (ორიგინალი/ასლი), თუ ასეთი მოთხოვნა მითითებულია პროგრამაზე მობილობით მიღების გამოცხადებაში;

12) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც განცხადებას, ხელშეკრულებას ხელს აწერს სწავლის მსურველის კანონიერი წარმომადგენელი, ასევე წარსადგენია: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობის/ID ბარათი), მეურვეობის/ სხვ. დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს მობილობით ბტუ-ში ჩარიცხვის ერთიანი აქტის - რექტორის ბრძანების გამოცემისა) ბტუ-ში გამოცხადების, საბუთების წარდგენის, შიდასაუნივერსიტეტი გამოცდებზე და გასაუბრებაზე გასვლის შესაძლებლობა შეიძლება მიეცეს ბტუ-ში სწავლის უფლების მქონე პირს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა (რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა საპატიო მიზეზად), რის გამოც შეუძლებელი გახდა ვადების დაცვა. განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების შესახებ პასუხის მიღების წესები და ვადები რეგულირდება ბტუ-ს შინაგანაწესით. ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა დაინტერესებულ პირს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მას მიეცემა განსხვავებულ ვადებში საბუთების წარდგენის, შიდაგამოცდაზე/გამოცდებზე და გასაუბრებაზე გასვლის შესაძლებლობა, მოხდება მიღებული კრედიტების და შეფასებების აღიარების დასკვნის შედგენა და დაინტერესებული პირისთვის გაცნობა

8. შიდა მობილობის შემთხვევაში ბტუ-ს მიერ დადგენილ (ადმინისტრაციული რეგისტრაციის) ვადებში დოქტორანტის ვალდებულია განცხადებით მიმართოს რექტორს, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტში „დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვა. დოქტორანტი“ დადგენილი წესით გავიდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე/გამოცდებზე და გასაუბრებაზე ბტუ-ს საკონკურსო დარგობრივ კომისიასთან კვლევის თემასთან დაკავშირებით, დადებითი შედეგების შემთხვევაში გაიაროს რეგისტრაცია არჩეულ პროგრამაზე, წარადგინოს ბტუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსების შემთხვევაში) ან ბტუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსების შემთხვევაში) გადახდის დოკუმენტი. შიდამობილობით პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე დოქტორანტს შეუძლია შიდა მობილობაზე უარის თქმა - ამ მიზნით მან განცხადებით უნდა მიმართოთ ბტუ-ს რექტორს. ბრძანების გამოცემის შემთხვევაში დოქტორანტი სწავლას აგრძელებს არჩეული პროგრამით;

9. როგორც სხვა უსდ-დან მობილობის, ისე შიდა მობილობის შემთხვევაში დოქტორანტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების თავსებადობა მის მიერ არჩეულ პროგრამასთან დადგინდება ბტუ-ში მოქმედი კრედიტების და შეფასებების აღიარების წესით. ბტუ-ს მიერ მომზადებულ დასაბუთებულ დასკვნაში იქნება მითითებული რომელი სასწავლო კომპონენტ(ებ)ი, რამდენი კრედიტი არის აღიარებული და რამდენი კრედიტი არის მისაღები. ასევე, ხდება დოქტორანტის ინფორმირება სამეცნიერო კომპონენტთან დაკავშრებით - რა მოთხოვნები ექნება მას შესასრულებელი. პროგრამებს შორის თავსებადობის არარსებობა შეიძლება იყოს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. დასკვნა ეცნობა დოქტორანტს;

10. ბტუ-ში მობილობით ვერ ჩაირიცხება პირი, რომლის მიმართ უსდ-ში არსებობს ბრძანება სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია ბტუ-ს წესდებასთან და მიიჩნევა ქცევის წესების უხეშ დარღვევად, რომლისთვისაც ბტუ-ში გათვალისწინებულია სტატუსის შეწყვეტის დისციპლინური სანქცია;

11 მობილობის მსურველი გადის ამ მუხლის მე-3 პუნქტში „დოქტორანტურაში სწავლის უფლება. დოქტორანტურაში ჩარიცხვა. დოქტორანტი“ დადგენილი წესით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე/გამოცდებზე და გასაუბრებაზე ბტუ-ს საკონკურსო დარგობრივ კომისიასთან კვლევის თემასთან დაკავშირებით (შეფასების მიზნით გამოიყენება იგივე ფორმა, რაც დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრებისას);

12. დოქტორანტი შეიძლება ჩაირიცხოს ბტუ-ს პროგრამაზე, თუ დააკმაყიფილებს პროგრამით და წინამდებარე დებულებით დადგენილ ყველა პირობას;

13. ჩარიცხვა ხდება გამოცხადებული ვაკანტური ადგილების ფარგლებში, კონკურსის შედეგების საფუძველზე. თუ ბტუ-ს პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა ვაკანტური ადგილების რაოდენობაზე მეტია, ბტუ-ს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას მიიღებენ გამოცხადებული ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის დოქტორანტები, რომელთა საკონკურსო დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს;

14. თანაბარქულიანი დოქტორანტობის კანდიდატთა შემთხვევაში მხედველობაში მიიღება: კვლევის ხე-

დვაში მიღებულ შეფასება, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა/რაოდენობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, პატენტები, ა.შ.);
15. დოქტორანტს შეუძლია მობილობის წესით ბტუ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა;
16. ბტუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბტუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დადასტურება სავალდებულოა (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სწავლის საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ან ბტუ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით);
17. ჩარიცხვის შემდეგ ბტუ-ში წარსადგენია უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) დოქტორანტის პირადი საქმე და პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია; დოკუმენტების დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი მხოლოდ ასლის სახით; მობილობის შედეგად გამომშვებ უსდ-ში გამოცემული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი;
18. მობილობით დოქტორანტთა ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

9. განათლების აღიარების წესი

1. ამ წესით ბტუ იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტურის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნებისთვის მიღებული განათლების აღიარების შესახებ;
2. უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის აღიარება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. ბტუ აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მიერ მინიჭებულ ხარისხებს და კვალიფიკაციებს, ასევე ამ წესით აღიარებს ამ უსდ-ების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში მიღებულ სწავლის შედეგებს, კრედიტებს და შეფასებებს;
4. ბტუ უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის;
5. აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპეტენციები, რომელზე დოქტორანტი ჩარიცხა და სწავლობდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6. ბტუ-ში დოქტორანტის კვლევის მიზნებისთვის მის მიერ გამომშვებ უსდ-ში მომზადებული/გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების, მომზადებული კვლევის პროექტისა და კოლოკვიუმის ჩათვლის საკითხს შეისწავლის სადისერტაციო საბჭო, რომელიც განიხილავს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებულ ინფორმაციას. თუ სადისერტაციო საბჭო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციები, კვლევის პროექტი და/ან კოლოკვიუმი არ შეესაბამება ბტუ-ში შესასრულებელი სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკას, მაშინ დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს სხვა სამეცნიერო პუბლიკაციები, მოამზადოს და წარმოადგინოს კვლევის პროექტი ან/და კოლოკვიუმი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა. ამ პუნქტის პირობები მოქმედებს სადისერტაციო ნაშრომის თემის შეცვლის შემთხვევაშიც;
7. ბტუ-ში სასწავლო კომპონენტების (შემდგომში - პროგრამის კომპონენტი) აღიარების წესი;

1) ბტუ-მ შეიძლება მოითხოვოს იმ კომპონენტ(ებ)ის სილაბუს(ებ)ის/ანოტაცი(ებ)ის (მიზნები, შედეგები, შინაარსი, ლიტერატურა და/ან სხვ.) წარდგენა, რომელშიც დოქტორანტს მიღებული აქვს კრედიტ(ებ)ი;
2) კრედიტების აღიარების მიზნით ბტუ ადგენს პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ბტუ-ს შესაბამის პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარების შესახებ. მიღებული კრედიტების აღიარება ეფუძნება შესაბამისობას ბტუ-ს პროგრამასთან;
3) ბტუ უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს ბტუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველის კომპეტენციების თავსებადობა ბტუ-ს პროგრამასთან;
4) მიღებული კრედიტების აღიარება ხდება უკვე შესწავლილი და ბტუ-ში არჩეული პროგრამების კომპონენტების თავსებადობის დადგენით. კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს: მიღებული კრედიტების პირდაპირ აღიარების, სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის ან კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე. ბტუ-ს პროგრამასთან ნულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევა შეიძლება იყოს ბტუ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი ან პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს ბტუ-ს პროგრამის სასწავლო კომპონენტი;
5) თუ შესწავლილი პროგრამის კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ბტუ-ს პროგრამის ანალოგიური კომპონენტის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას - მაშინ ავტომა-

ტურად ხდება ამ კომპონენტის აღიარება;

6) პროგრამების კომპონენტების შინაარსობრივი თანხვედრის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს აღიარება მათ დასახელებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
7) შესწავლილი პროგრამის კომპონენტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბტუ-ს პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს არჩევით კომპონენტად. თუ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: 1) გაუტოლდება ბტუ-ს პროგრამით არჩევითი ნაწილის კრედიტების ჯამურ რაოდენობას, მაშინ დოქტორანტი არ არის ვალდებული შეისწავლოს ბტუ-ს პროგრამის არჩევითი კომპონენტები; 2) იქნება მეტია, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ბტუ-ს პროგრამით, მაშინ დოქტორანტის არჩევანით აღიარებული იქნება ბტუ-ს პროგრამით დადგენილი ნორმირებული რაოდენობა;
8) თუ შესწავლილი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება ბტუ-ს ანალოგიური კომპონენტის კრედიტების რაოდენობას - მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს ბტუ-ს პროგრამა;
9) თუ შესწავლილი კომპონენტის კრედიტი ნაკლებია ბტუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კომპონენტის კრედიტზე, მაშინ - ა) 01 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შესწავლილ კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; ბ) 02 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შესწავლილი კომპონენტის და ბტუ-ს ანალოგიური კომპონენტის შინაარსობრივი შედარების (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურის, სწავლის შედეგების შედარების) და/ან დაინტერესებულ პირთან გასაუბრების საფუძველზე შესწავლილ პროგრამის კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; გ) 03 და მეტი კრედიტის სხვაობის შემთხვევაში არ ხდება კრედიტების აღიარება;
10) პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც დოქტორანტს უღიარდება ბტუ-ს პროგრამის მიზნებისათვის;

8. იმ შემთხვევაში, თუ ბტუ-ს პროგრამამ, რომლითაც სწავლას აგრძელებს დოქტორანტი, მისი ჩარიცხვის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება, მაშინ ხდება სხვა უსდ-ში სასწავლო კომპონენტში უკვე მიღებული კრედიტებისა და ბტუ-ს მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტის თავსებადობის განმეორებითი შესწავლა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. თავსებადობის შემთხვევაში დამატებითად აღიარებული იქნება სხვა უსდ-ში დოქტორანტის მიერ მიღებული სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტების კრედიტები, რომელთა აღიარება არ მოხდა ბტუ-ში დოქტორანტის ჩარიცხვის დროს;

9. ბტუ უფლებამოსილია გაიანგარიშოს დოქტორანტის დატვირთვა კრედიტებით იმ პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ECTS შესაბამისად:

1) თუ უსდ, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა დოქტორანტი, იყენებს/იყენებდა ECTS-ისგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ დოქტორანტი ვალდებულია წარმოადგინოს უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია უსდ-ში მოქმედი საკრედირო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS-სთან;
2) პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შედგენილი ECTS-ს შესაბამისად, ხდება მითითებული აკადემიური/საკონტაქტო საათების ანალიზი, რის შედეგად ენიჭებათ კრედიტები შემდეგი წესით:
   1. თუ მითითებულია საკონტაქტო (სს) და დამოუკიდებელი (დს) საათები, მაშინ მათი ჯამი გაიყოფა 25-ზე (ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 სთ.) ანუ კრედიტი = (სს + დს) / 25;
   2. თუ მითითებულია მხოლოდ საკონტაქტო საათები, მაშინ: ა) მოხდება მათი შედარება ბტუ-ს ანალოგიურ პროგრამის კომპონენტთან და კრედიტი მიენიჭება ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად; ბ) ბტუ-ში ანალოგიური პროგრამის კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო საათების ტოლად ანუ კრედიტი = 2 x სს / 25;
   3. თუ მითითებულია მხოლოდ საათების ჯამური რაოდენობა, მაშინ მათი რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამად, შესაბამისად კრედიტი = საათების ჯამი / 25;
   4. გამოთვლებით მიღებული რიცხვი მრგვალდება მთელ რიცხვამდე დამრგვალების წესით.

10. ბტუ უფლებამოსილია სასწავლო კომპონენტისთვის მოახდინოს სხვა უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემის და სასწავლო ბარათში მითითებული შეფასებების ანალიზი და მათი გადაყვანა საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემის ქულებზე, რაც ხდება შემდეგი წესების დაცვით:

1) 5-ბალიანი სისტემის ბტუ-ში მოქმედ 100-ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:

5-ბალიანი სისტემა			საქართველოში მოქმდი 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად		
ფრიადი	5		100	A	ფრიადი

კარგი	4		80	C	კარგი
დამაკმაყოფილებელი	3		70	E	დამაკმაყოფილებელი
არადამაკმაყოფილებელი	2-0		0	F	ჩაიჭრა

2) თუ დოქტორანტს მიღებული აქვს: 11) ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“ (ნიშნის მითითებით), მაშინ შეიძლება მოხდეს მისი გადაყვანა 100-ქულიან სისტემაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით; 2) ე.წ. „ჩათვლა“ (ნიშნის გარეშე), მაშინ შეიძლება მოხდეს მისი გადაყვნა 100-ქულიან სისტემაზე მინიმალური დადებითი (51) ქულის მინიჭებით;
3) განსხვავებული შეფასების სისტემის ბტუ-ში მოქმედ სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:
   1. 100-ქულიან სისტემაზე განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული შეფასების (ქულის) გადაყვანა ხდება ფორმულით:

$GP = \frac{a \times 100}{A}$	GP - ბტუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაზე გადმოყვანილი შეფასება (ქულა); 100 - ბტუ-ში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა); A - სხვა შეფასების სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა); a - სხვა შეფასების სისტემით მიღებული შეფასება (ქულა).

   2. GPA-ზე (შესაბამისად, 100-ქულიან სისტემაზე) განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული GPA-ს გადაყვანა ხდება ქვემოთ მოცემული ფორმულით (შეფასების ქულა განისაზღვრება მიღებული GPA-ს ქულის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე დებულების „აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA“):

$GPA = \frac{4 \times gpa}{gpa_{max}}$	GPA - ბტუ-ს GPA-ზე გადმოყვანილი ქულა; 4 - ბტუ-ს GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა gpa - სხვა შეფასების სისტემით მიღებული Grade Point Average (GPA); gpa_{max} - სხვა შეფასების სისტემაში GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა.

11. ბტუ-ს გადაწყვეტილება ფორმდება დასკვნის სახით, რომელიც მიეთითება აღიარებული სასწავლო კომპონენტების დასახელებები, შეფასებები, აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობები, ასევე არსებობის შემთხვევაში - ზემოთ მითითებული სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება. დასკვნა ეცნობა დაინტერესებულ პირს, რომელიც ადასტურებს ბტუ-ში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას ან უარს ამბობს ბტუ-ში სწავლის გაგრძელებაზე.

10. დამატებით სემესტრებში სწავლის/კვლევის გაგრძელება

1. ბტუ-ში პროგრამისთვის დადგენილ დამატებით ვადაში სწავლა/კვლევა შეიძლება გაგრძლდეს, თუ სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს პროგრამისთვის დადგენილ ძირითად ვადებში არ აქვს მიღებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა, მომზადებული სადისერტაციო ნაშრომი და/ან შესრულებული პროგრამით/წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნები, მაგრამ დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელებით იქნება შესაძლებელი შესაბამისი ხარისხის მისანიჭებლად დადგენილი ყველა პირობის შესრულება;
2. აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს, რომელსაც სურს ბტუ-ში დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელება, შეუძლია პროგრამის ვადის დასრულებამდე ან დასრულებისთანავე (არაუმეტეს 05 სამუშაო დღეში) მიმართავს რექტორს შესაბამისი განცხადებით, რომელშიც მიეთითება: დოქტორანტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, მიზეზი, რომლის გამო დოქტორანტმა ვერ შეძლო დადგენილ ვადაში პროგრამის დასრულება, განცხადების თარიღი. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტიდან ბტუ-ს ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} სთ-დან 17^{00} სთ-მდე). დოქტორანტის განცხადება და თანდართული დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში) განსახილველად გადაეცემა დეკანს და სადისერტაციო საბჭოს;
3. დოქტორანტის განცხადებას უნდა დაერთოს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის შუამდგომლობა;
4. გადაწყვეტილება დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელების შესახებ:
1) დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელებისთვის საჭიროა სტუდენტის აქტიური სტატუსი;
2) თუ საბუთების შესწავლით დადგინდება, რომ დამატებით ვადაში შესაძლებელია კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროგრამის ყველა მოთხოვნის შესრულება, მაშინ დეკანი რექტორს წარუდგეს დასაბუთებულ დასკვნას დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელების თანხმობის შესახებ;
3) თუ დოქტორანტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია დამატებით ვადაში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროგრამის და წინამდებარე დებულების ყველა მოთხოვნების შესრულება, მაშინ დეკამი რექტორს წარუდგეს დასაბუთებულ დასკვნას დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ;
4) გადაწყვეტილება დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელების/გაგრძელებაზე უარის თქმის შე-

სახებ დოქტორანტს ეცნობა სტუდენტთა განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური გეგმა;

5) დამატებით ვადაში სწავლის/კვლევის გაგრძელებაზე უარის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიუღწევლობის/მიღწევის შეუძლებლობის გამო სტუდემტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

5. გამონაკლისი შემთხვევები: პროგრამისთვის დადგენილი დამატებითი ვადის გადაჭარბებით სწავლის/კვლევის გაგრძელება შესაძლებელია, თუ დოკუმენტურად დადასტურდა დამატებით ვადაში ბტუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული (საპატიო მიზეზად მიჩნეული) გარემოებების დადგომა, რის გამო შეუძლებელი იყო დამატებითი ვადაში კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი პირობების შესრულება. ყველა განცხადება და დამადასტურებელი დოკუმენტები განიხილება რექტორის და ფაკულტეტის დეკანის მიერ, რის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება: პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან მაქსიმუმ 01 წლით დამატებითი ვადის გაგრძელების შესახებ. გადაწყვეტილება დოქტორანტს ეცნობა განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში.

4. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი

1. ზოგადი წესი

1. დასრულებული სამეცნიერო ნაშრომი (დისერტაცია) წარედგინება სადისერტაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სემესტრში, რომელშიც დოქტორანტის დაასრულებს მასზე მუშაობას;

2. სამეცნიერო ნაშრომი საბჭოსთვის წარდგენილი უნდა იყოს წინამდებარე დებულების დადგენილი ვადების და მოთხოვნების დაცვით.

2. მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისადმი

1. სამეცნიერო ნაშრომი (შემდგომში - ნაშრომი) უნდა იყოს შესრულებული: ა) ქართულენოვანი პროგრამის შემთხვევაში - ქართულ ენაზე (კვლევის ძირითადი შედეგები ასევე, წამოდგენილი უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე). უცხოურ ენაზე ნაშრომის შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის, უცხოელი ექსპერტის/მენტორის (არსებობის შემთხვევაში) დასაბუთების განხილვის შედეგად. უცხოურ ენაზე ნაშრომის შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე; ბ) უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები ასევე, წამოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე);

2. სამეცნიერო ნაშრომის ფორმალური მხარე უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1) ზღვრული მოცულობა – 120-200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი);
2) ფურცლის ზომა A4; ტექსტი: შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5;
3) ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება: CHICAGO-ს საერთაშორისო აკადემიური სტილი.

3. ავტორეფერატი

1. ავტორეფერატი არის სამეცნიერო ნაშრომის შემოკლებული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართული და ინგლისურენოვანი ვერსიები იკინძება ერთად;

2. ავტორეფერატის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს: შესავალს (უცვლელად), თითოეული თავის მოკლე მიმოხილვას, დასკვნას (სრულად) და გამოქვეყნებული ნაშრომების სიას (სრულად);

3. ტექნიკური მოთხოვნები: მოცულობა - 30-45 გვერდი; სტრუქტურა და გაფორმება: CHICAGO-ს საერთაშორისო აკადემიური სტილი.

4. სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტები. ნაშრომის რეცენზირების ინტერნაციონალიზაცია

1. სამეცნიერო ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) რეცენზენტები შეიძლება იყვნენ:

1) საქართველოს/უცხოეთის უსდ-ების და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პროფესორი/მკვლევარი;
2) ნაშრომის შესაბამისი სფეროს ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი;
3) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, რომელსაც აქვს ნაშრომის ზოგად სფეროში კვლევის გამოცდილება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

2. რეცენზენტების ვინაობას განიხილავს სადისერტაციო საბჭო. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი ან/და დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;

3. რეცენზირების სავალდებულო ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ერთ-ერთი ასპექტის არსებობას:

1) დოქტორანტს ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი;
2) სამეცნიერო ნაშრომს აქვს საერთაშორისო რეცენზია;

3) სამეცნიერო ნაშრომის ერთ-ერთი რეცენზენტი არის შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი;
4) სამეცნიერო ნაშრომის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად საზღვარგარეთ გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში ან იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ან შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings).

4. რეცენზია უნდა იყოს მომზადებული რეცენზენტისთვის ავტორეფერატის გადაცემიდან არაუგვიანეს 01 თვისა წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი რეცენზენტის მიერ. მასში უნდა აისახოს: კვლევის თემის აქტუალურობა, კვლევის მეცნიერული დონე, გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), მიღებული შედეგების სანდოობა, სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების ხარისხი, სხვ. რეცენზია უნდა მთავრდებოდეს რეცენზენტის რეკომენდაციით დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ.

5. სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის წინაპირობა, წარდგენის წესი

1. სადისერტაციო საბჭოსთვის სამეცნიერო ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომის) წარდგენის წინაპირობა:
1) სადოქტორო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების (დადგენილი რაოდენობის მიღებული კრედიტები, სამეცნიერო კვლევის პროექტი, კოლოკვიუმი, სამეცნიერო პუბლიკაციები) შესრულება და ანტიპლაგიატის პროგრამით ნაშრომის შემოწმების დადებითი შედეგები (დასკვნა);
2) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ მომზადებული და ხელმოწერილი წერილობითი განცხადება (წარდგინება) - მისი წინაპირობაა ანტიპლაგიატის პროგრამით ნაშრომის შემოწმების დადებითი შედეგები (დასკვნა), წარდგინება უნდა მოიცავდეს: ა) ინფორმაციას დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შესახებ; ბ) დასკვნას, რომ ხელმძღვანელი გაეცნო დასრულებულ ნაშრომს, ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად. დასკვნაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაშრომის აქტუალობაზე, სტრუქტურაზე, შინაარსზე, ანალიზის სიღრმეზე, კვლევის ხარისხზე, სიახლეზე, მონაცემთა სარწმუნოობაზე, გამოყენებულ უახლეს ლიტერატურაზე, ციტირებებზე, აკადემიურ სტილზე, სამეცნიერო ნაშრომისადმი წაყენებულ სხვა მოთხოვნებზე.
3) რეცენზიები.

2. წარსადგენი დოკუმენტები:
1) დოქტორანტის განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე ნაშრომის განსახილველად მიღების შესახებ;
2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
3) სამეცნიერო ნაშრომი - 03 აკინძული ეგზემპლიარი, 01 ელექტრონული ვარიანტი (PDF ფორმატში);
4) ავტორეფერატი - 03 აკინძული ეგზემპლიარი, 01 ელექტრონული ვარიანტი (PDF ფორმატში);
5) გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები;
6) განაცხადი ეთიკის თაობაზე - დოქტორანტის განაცხადი, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული, გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული, ნაშრომი არ არის პლაგიატი, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები. ტექსტის ქვემოთ კეთდება ავტორის პირადი ხელმოწერა. განაცხადისთვის გამოიყოფა ცალკე ფურცელი;
7) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის წერილობითი განცხადება (წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად);
8) რეცენზიები.

6. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება სამეცნიერო ნაშრომის დაცვის და ოპონენტების დანიშვნის შესახებ

1. სამეცნიერო ნაშორმი (დისერტაცია) და წარმოდგენილი მასალები შემოწმების მიზნით განსახილველად წარედგინება სადისერტაციო საბჭოს მდივანს (შემდგომში - საბჭოს მდივანი), რომელიც 01 კვირის ვადაში
1) ამოწმებს წაროდგენილ დოკუმენტაციას;
2) ამზადებს დასკვნას სადისერტაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) თავმჯდომარის სახელზე;

2. მდივანი საბჭოს:
1) წარუდგენს დოკუმენტებს და დასკვნას დოქტორანტის განცხადების თანმდევი დოკუმენტაციის შეფასების, დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმების შესრულების, სტანდარტების დაცვით დისერტაციისა და ავტორეფერატის შესრულების თაობაზე;
2) დადებითი დასკვნის შემთხვევაში მიმართავს შუამდგომლობით ოპონენტების დანიშვნის შესახებ;

3. სადისერტაციო საბჭო განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების/დაშვებაზე უარის თქმის შესახებ:

1) წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხარვეზ(ებ)ის დადგენის შემთხვევაში მასალები გამოსწორების მიზნით უბრუნდება დოქტორანტს. ამ მიზნით დოქტორანტისთვის დისერტაციის დაბრუნების შემთხვევაში, დისერტაცია ხელახლა უნდა იქნეს წარდგენილი 01 სემესტრის განმავლობაში;
2) დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:
   1. სამეცნიერო ნაშრომი ითვლება წარდგენილად;
   2. მტკიცდება სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტები, ასევე - სადისერტაციო დარგობრივი კომისიის (სავარაუდოო/საბოლოო) შემადგენლობა;
   3. განისაზღვრება სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის სავარაუდოო თარიღი;
   4. სამეცნიერო ნაშრომი გადაეცემა ბტუ-ს ბიბლიოთეკას. ავტორეფერატი განთავსდება ბტუ-ს ვებ-გვერდზე. ასევე, ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია, რომ სამეცნიერო ნაშრომის სრული ვერსიის ნახვა შესაძლებელია ბტუ-ს ბიბლიოთეკაში.

4. საბჭოს მდივანმა მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით ერთი კვირის ვადაში უნდა გადასცეს ფაკულტეტის დეკანს დოქტორანტის პირად საქმეში შესატანად.

7. ოპონენტები. ოპონენტების დასკვნები. საჯარო დაცვის დანიშვნის წინაპირობა და პროცედურები

1. სადისერტაციო საბჭო ნიშნავს არანაკლებ ორ ოპონენტს;

2. სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტად შეიძლება დაინიშნოს სადისერტაციო საბჭოს წევრი ან კვლევის ზოგად სფეროში დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, მათ შორის, საქართველოს/უცხოეთის უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი. ოპონენტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი ან/და დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი. ოპონენტს უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება დოქტორანტის სადისერტაციო თემის შესაბამის სფეროში და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ი;

3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი, სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 01 კვირის ვადაში, უზრუნველყოფს დოქტორანტის ავტორეფერატის გადაცემას ოპონენტისთვის;

4. ოპონენტი დასკვნას ამზადებს და წარადგენს მაქსიმუმ 02 თვის განმავლობაში;

5. თუ ოპონენტის მიერ საპატიო მიზეზების გამო დასკვნის წარმოდგენა შეუძლებელია დადგენილ ვადაში, მაშინ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ახალ ოპონენტს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისერტაციის დაცვის თარიღის გადავადება;

6. ოპონენტი აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას: ა) საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ; ბ) საჯარო დაცვაზე დასვების უარის თქმის შესახებ;

7. თუ ოპონენტებს აქვთ განსხვავებული პოზიციები საჯარო დაცვაზე დაშვების/დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ დამატებით დაინიშნება ოპონენტი, რომელსაც დასკვნის წარმოსადგენად ეძლევა 01 თვე. ახალი ოპონენტის დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს საჯარო დაცვის თარიღის გადავადება;

8. თუ ოპონენტების/ოპონენტთა უმრავლესობის დასკვნები უარყოფითა, მაშინ: სამეცნიერო ნაშრომი დაცვაზე დაშვებული არ იქნება და დოქტორანტი კარგავს იგივე სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის უფლებას; სადისერტაციო საბჭოს მდივანი დოქტორანტს წერილობით აცნობებს ოპონენტთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, დოქტორანტს ეძლევა უფლება გაეცნოს ოპონენტთა დასკვნებს;

9. ოპონენტების წერილობითი დასკვნები:

1) გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს განსახილველად;
2) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში (უარყოფითი დასკვნების და საჯარო დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში შემთხვევაში - ასევე, სამეცნიერო ნაშრომი);

10. საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ოპონენტთა უმრავლესობის დადებითი დასკვნები. ამ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს მიერ:

1) მიიღება გადაწყვეტილება სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის დანიშვნის შესახებ;
2) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)თან შეთანხმებით განისაზღვრება სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღი, დრო და ადგილი (საჯარო დაცვა ინიშნება ოპონენტების დასკვნების და დაცვაზე დაშვების საკითხის განხილვის სხდომიდან არაუმეტეს 60 დღეში);
3) განისაზღვრება/ზუსტდება სადისერტაციო დარგობრივი კომისიის შემადგენლობა.

11. მიღებული გადაწყვეტილება აისახება საბჭოს სხდომის ოქმში, ასევე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეძლება გამოიცეს რექტორის შესაბამისი ბრძანება;

12. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით ერთი კვირის ვადაში

უნდა გადასცეს ფაკულტეტის დეკანს. დოქტორანტს ელ.ფოსტით ეგზავნება შეტყობინება (უნდა იყოს მითითებული მიღებული გადაწყვეტილება, საჯარო დაცვის თარიღი, დრო და ადგილი). შეტყობინების გაგზავნიდან და საჯარო დაცვის ჩატარების თარიღამდე შუალედი უნდა უნდა იყოს არანაკლებ 01 თვისა.

8. სადისერტაციო დარგობრივი კომისია

1. სადისერტაციო დარგობრივი კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით;
2. კომისია იქმნება დისერტაციის საჯარო დაცვამდე არანაკლებ 01 თვით ადრე;
3. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და წევრებისაგან (სულ ჯამში - მინიმუმ 05);
4. კომისიის წევრები აირჩევა სადისერტაციო საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით შესაბამისი სფეროს სპეციალისტებისაგან. სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ბტუ-ს აკადემიური პერსონალი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, საპატიო დოქტორი, ასევე სადისერტაციო კომისიაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირ(ებ)ი (მაგ., საქართველოს/უცხოეთის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი), მას უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება შესაბამის სფეროში და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ი; კომისიის წევრი ვერ იქნება პირი, რომელიც არის დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი ან/და არის დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული. კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ ოპონენტები და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
5. კომისიის თავმჯდომარე არ უნდა იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან ოპონენტი;
6. სადისერტაციო საბჭოს მდივანის მიერ კომისიის წევრებს წინასწარ (საჯარო დაცვამდე არანაკლები 01 თვით ადრე) ელექტრონულად ეგზავნებათ:
1) სამეცნიერო ნაშრომის (დისერტაციის) საბოლოო ვარიანტი;
2) შეფასების კრიტერიუმები;
3) ოპონენტების დასკვნები.
7. კომისიის წევრი ვალდებულია საჯარო დაცვამდე გაეცნოს მისთვის გამოგზავნილ დოკიმენტაციას.

9. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. **ინფორმაცია საჯარო დაცვის ჩატარების შესახებ**

საჯარო დაცვამდე, არანაკლებ 01 თვით ადრე, სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს დანიშნული საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაციისა და ავტორეფერატის ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებას.

2. **საჯარო დაცვა**

1. სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვას (შემდგომში - დაცვა) უზრუნველყოფს სადისერტაციო დარგობრივი კომისია (შემდგომში - კომისია);
2. დაცვის, კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ფაკულტეტი;
3. სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვა (კომისიის შესაბამისი სხდომა) მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული რეგლამენტით, არის საჯარო (გარდა შეფასებისა ეტაპისა, რომელიც არის დახურული - ესწრებიან და მონაწილეობენ მხოლოდ კომისიის წევრები);
4. კომისიის სხდომა მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ენაზე: იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ხორციელდებოდა უცხოურ ენაზე (შესაბამისად დისერტაცია მომზადებულია უცხოურ ენაზე) ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებად იქნება მიჩნეული დისერტაციიის დაცვა უცხოურ ენაზე, მაშინ დოქტორანტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თარჯიმნის მოწვევა და დაცვის პროცესში მონაწილეობა;
5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა არანაკლებ ½-თ, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;
6. გარდა კომისიის წევრებისა, სხდომაზე განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლებით მონაწილეობენ: ოპონენტები და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი;
7. დაცვის პროცესში (რეგლამენტი: 2-3 სთ) მოიაზრება:
1) თავმჯდომარის მიერ დღის წესრიგის პროექტის გაცნობა. დღის წესრიგის დამტკიცება;
2) კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის წევრების, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის,

ოფიციალური ოპონენტების წარდგენა;
3) კომისიის მდივნის მიერ დოქტორანტის წარდგენა (ინფორმაცია პერსონალური მონაცემების, სასწავ-ლო-სამეცნიერო აქტივობის შესახებ);
4) დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენა-პრეზენტაცია (რეგლამენტი: პრეზენტაციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40-45 წთ);
5) კითხვა-პასუხის ეტაპი - დოქტორანტის პასუხი კომისიის თავმჯდომარის და წევრების და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებზე (რეგლამენტი: ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის);
6) ოპონენტების მიერ დასკვნის წარდგენა და დოქტორანტის პასუხი შენიშვნებზე (რეგლამენტი: დასკვ-ნის წარდგენის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15-15 წუთს);
7) სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის წარდგენა-დახასიათება (რეგლამენტი: არაუმეტეს 10-10 წუთისა);
8) კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოების მიერ აზრის გამოთქმის ეტაპი (რეგლამენტი: არაუმე-ტეს 3-3 წთ);
9) შეფასება დახურულ სხდომაზე ფარული წესით (რეგლამენტი: ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის)
10) შეფასების შედეგების გაცნობა;
11) დოქტორანტის დასკვნითი სიტყვა (რეგლამენტი: 5 წთ).

8. ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთი სამეცნიერო ნაშრომის დაცვა.

3. **სამეცნიერო ნაშრომის შეფასება**

1. შეფასება ხდება სადისერტაციო დარგობრივი კომისიის (შემდგომში - კომისია) წევრთა მიერ სხდომის დახურვით, ფარული კენჭისყრით, ინდივიდუალურად წინასწარ დადგენილი შეფასების კომპონენტებით და კრიტერიუმებით;

2. შეფასების სისტემა მითითებულია წინამდებარე დებულებაში, შეფასების კრიტერიუმები და თითოეუ-ლისთვის დადგენილი ქულები - წინამდებარე დებულების დანართში „სადისერტაციო ნაშრომის დაცვა“ (მოიაზრება უშუალოდ ნაშრომის შეფასება (ნაშრომის ტექნილური და შინაარსობრივი მხარე) და საჯარო დაცვა ნაშრომის შეფასება);

3. შეფასების შედეგებს ითვლის და აჯამებს კომისიის მდივანი;

4. კომისიის სხდომის დასრულებამდე (შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ) კომისიის თავმჯდო-მარე ღიად აცხადებს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება კომისიის სხდომის ოქმში;

5. შეფასების „არადამაკმაყოფილებელი” მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა 01 წლის განმავლო-ბაში გადამუშავებული სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის უფლება (განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე უნდა იყოს წარდგენილი წინამდებარე დებულებით სამეცნიერო ნაშრომის წარ-დგენისთვის განსაზღვრული წესით და ვადაში, მაგრამ არანაკლებ 3 თვისა სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის შედეგების გამოცხადებიდან). შეფასების „სრულიად არადამაკმაყოფილებელი” მიღების შემთხვე-ვაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

6. სამეცნიერო ნაშრომი დაცულად (დოქტორანტურის პროგრამა დასრულებულად) ითვლება არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასების (rite - დამაკმაყოფილებელი) მიღების შემთხვევაში.

4. **სადიხერტაციო დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმი**

1. სადიხერტაციო დარგობრივი კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც აწარმოებს კომისიის მდივანი;

2. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს: გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, სხდომის მდივნის, წევრების ვინაობა; დოქტორანტის ვინაობა; სხდომაში მონაწილე პირთა სია (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები, კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილება;

3. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმი უნდა დამოწმდეს ბტუ-ს ბეჭდით;

5. საბჭოს სხდომის ოქმი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისათვის გარდა სხდომის დახურული (შეფასების) ეტაპისა;

6. თუ სხდომაზე მიმდინარეობს აუდიო- ან ვიდეო- ჩანაწერი (უნდა იყოს ცნობილი სხდომაზე დამსწრე პირთათვის), მაშინ აღნიშნულის შესახებ მითითება კეთდება სხდომის ოქმში. აუდიო-/ვიდეო- ჩანაწერი ინახება ოქმის წერილობით გაფორმებამდე/ხელმოწერამდე ან შესაძლებელია დაერთოს სხდომის ოქმს.

10. დოქტორის აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭება. საქმისწარმოების დასრულება

1. **დოქტორის აკადემიური ხარისხი. დიპლომი**

1. დოქტორანტის აკადემიურ ხარისხს (კვალიფიკაციას) ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სა-დისერტაციო დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილების/რეკომენდაციის საფუძველზე;

2. სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ (დაცვიდან 01 თვის, მაგრამ არაუმეტეს 03 თვის ვადაში):
1) გამოიცემა რექტორის ბრძანება დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ პროგრამის დასრულების და დქტორის აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭების საფუძვლით;
2) დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომი ბეჭდური ან ელ. ფორმით;
3) დოქტორანტმა უნდა გადასცეს ბტუ-ს ბიბლიოთეკას დისერტაციის და ავტორეფერატის ერთი ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი;
4) დისერტაცია უნდა განთავსდეს ბტუ-ს ვებგვერდზე;
5) მითითებულისაგან განსხვავებული ვადები დოქტორანტს შეიძლება განესაზღვროს თუ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ბტუ-ში დარღვევის საპატიო მიზეზად არის მიჩნეული.
3. დოქტორის დიპლომი და დიპლომის დანართი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ;
4. დიპლომს ხელს აწერენ ფაკულტეტის დეკანი და რექტორი.

2. **საქმისწარმოების დასრულება**

1. სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ ბტუ-ში დოქტორანტის ცალკე საქმედ ინაცება:
1) დოქტორანტის ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა მასალა (დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, საკონკურსო მასალები);
2) რექტორის ბრძანება სადოქტორო პროგამაზე ჩარიცხვის თაობაზე (ასლი);
3) დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები, მათი შესრულების ამსახველი მასალები;
4) ხელშეკრულება დოქტორანტთან;
5) ხელშეკრულება დოქტორანტის ხელმძღვანელთან;
6) დოქტორანტის მიერ სადისერტაციო საბჭოსთვის ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი, განცხადება, შუამდგომლობა, სხვ. (ასლი);
7) სადისერტაციო საბჭოს ყველა ოქმი, რომლებიც ასახავენ დოქტორანტის განცხადებებთან, შუამდგომლობებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს (ასლი);
8) ყველა ოპონენტის დასკვნა (დედანი/ასლი);
9) ყველა სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა (დედანი/ასლი);
10) ყველა რეცენზია (დედანი/ასლი);
11) სამეცნიერო ნაშრომის (დისერტაციის), ავტორეფერატების ამონაბეჭდი და ელ.ვერსია (PDF ფორმატი);
12) დოქტორანტის ავტორობით ან/და თანაავტორობით შესრულებული, გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები, სხვ. (დედანი/ასლი);
13) სადისერტაციო დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმი (ასლი);
14) სადისერტაციო საბჭოს ოქმი/გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭების თაობაზე (ასლი);
15) დიპლომის და დიპლომის დანართის ასლები;
16) რექტორის ბრძანება დოქტორანტურის პროგრამის დასრულების და დოქტორის აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭების საფუძვლით დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის და დიპლობის გაცემის თაობაზე (ასლი).

2. აკინძული და ბტუ-ს ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტაცია 4 წელი ინახება კანცელარიაში, რის შემდეგ გადაეცემა ბტუ-ს არქივს, სადაც ინახება უვადოდ.

11. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილობა

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) მინიჭების გადაწყვეტილების, მინიჭებული ხარისხის, დიპლომისა და დილომის დანართის, ასევე, ამ საკითხზე გაცემული ყველა ცნობის, მოწმობის და სხვ. ბათილობის საფუძველი არის სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების/ინფორმაციის წარდგენის, სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვის, აკადემიური ხარიხის მინიჭების და/ან დიპლომის გაცემის შემდგომ პერიოდში აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის (პლაგიატი, მონაცემების გაყალბება, სხვ,) დადასტურებული ფაქტი;
2. ბათილობის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

1. სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) იქმნება ფაკულტეტზე, საბჭო მიზნად ისახავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და მომავალზე ორიენტირებული დოქტორანტურის პროგრამების რეალიზებას, დამოუკიდებელი კვლევების საწარმოებლად დოქტორანტებისთვის სათანადო პირობების შექმნას,

სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის, ბტუ-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების, დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას;

2. საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ბტუ-ს პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და უდასტურდებათ ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამ(ებ)ის სფერო(ებ)ში არანაკლებ 5 წლის კვლევის კომპეტენცია - საბჭოში უნდა იყოს წარმოდგენილი დოქტორანტურის თითოეული პროგრამის სფეროს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი (მინიმუმ 3 წევრი; მითითებულისაგან განსხვავებული რაოდენობები შეიძლება იყოს ინიცირებული სადისერტაციო საბჭოს მიერ და დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ). რექტორის ბრძანების საფუძველზე, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები;

3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით/რექტორის ბრძანებით, საბჭოს შემადგენლობაში წევრის უფლებამოსილებით ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეყვანა;

4. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა:

1) ბტუ-სთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა (შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა/ვადამდე შეწყვეტა), პირადი განცხადება, სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
2) საბჭოს წევრობის ვადის გასვლა; მე-3 პუნქტში მითითებულ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლებამოსილებას უწყვიტავს სადისერტაციო საბჭო: საბჭოს წევრის სტატუსი უწყდება მისი დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე თუ არ არსებობს სადისერტაციო საბჭოს სხვა გადაწყვეტილება;

5. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა 03 წელია;

6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

1) ანგარიშვალდებულია სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
2) ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე საბჭოს შემადგენლობიდან, 03 წლის ვადით;
3) არ შეიძლება იმავდროულად იყოს ფაკულტეტის დეკანი;
4) წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოს, სრულად და დამოუკიდებლად ასრულებს წარმოდადგენლობით უფლებამოსილებებს, აკადემიური საბჭოსთან, რექტორთან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
5) არის საბჭოს სხდომების თავმჯდომარე, იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
6) კომპეტენციის ფარგლებში, სადისერტაციო საბჭოს სახელით ხელს აწერს საბჭოს გადაწყვეტილებებს/დადგენილებებს, სხვადასხვა დოკუმენტებს/წერილებს/სხვ.;
7) ასრულებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს, ასევე იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია/შეიძლება იყოს დაკავშირებული სადისერტაციო საბჭოს საქმიანობასთან, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით;
8) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს.

7. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

1) ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე საბჭოს შემადგენლობიდან, 03 წლის ვადით;
2) ამავდროულად არის სადისერტაციო საბჭოს სხდომების მდივანი;
3) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის საინფორმაციო, საორგანიზაციო და საოქმო მომსახურებას, სადისერტაციო საბჭოს სახელზე შემოსული დისერტაციების და პუბლიკაციების, აგრეთვე წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას, დოქტორანტის მიერ საბჭოსთვის წარსადგენი დოკუმენტაციის მიღება-შემოწმებას, დოქტორანტთან კომუნიკაციას და მის ინფორმირებას საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
4) ამზადებს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს, წერილებისა და სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტებს;
5) პასუხისმგებელია სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურისა და ფორმალური სტანდარტების დაცვაზე, საბჭოსთვის დოკუმენტაციის სრულად და სწორად წარდგენაზე;
6) მონაწილეობს საბჭოს საარქივო მასალების მომზადებაში, უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, დისერტაციის დაცვის შემდეგ დოკუმენტაციის ცალკე საქმეებად დაკომპლექტებას და სხვ.;

7) ასრულებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს, ასევე იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია/შეიძლება იყოს დაკავშირებული სადისერტაციო საბჭოს საქმიანობასთან, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით;
8) სადისერტაციო საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სხდომის მდივანს.

2. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. საბჭოს ფუნქციები:
1) ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
2) ამ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების, მინიჭებული აკადემიური ხარისხის და დიპლომის ბათილობის შესახებ;
3) განიხილავს სადოქტორო პროგრამებს და რეკომენდაციებს წარუდგენს ბტუ-ს აკადემიურ საბჭოს;
4) განიხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო კვლევის თემებს და სამეცნიერო ხელმძვანელებს;
5) გაიხილავს საკვლევი თემის/ნაშრომის სახელწოდების და ხელმძღვანელის ცვლილების საკითხს, იღებს გადაწყვეტილებას;
6) შეიმუშავებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კრიტერიუმებს და მოთხოვნებს დოქტორანტობის კანდიდატებისადმი;
7) ეცნობა დოქტორანტების და მობილობის კანდიდატების პირად საქმეებს, გასაუბრების შედეგებს, საკონკურსო კომისიის დასკვნებს, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რემომენდაციებს;
8) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს;
9) წყვეტს საჯარო დაცვის, ოპონენტების დანიშვნის და საჯარო დაცვაზე დოქტორანტის დაშვების საკითხებს. ნიშნავს ოპონენტებს, ქმნის სადისერტაციო დარგობრივ კომისიას;
10) საჭიროების შემთხვევაში მიმართავს აკადემიურ საბჭოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის საკითხის შესწავლის თაობაზე;
11) კონტროლს უწევს აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვას;
12) შეიმუშავებს რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო გამოცემათა ჩამონათვალს, რომელშიც სასურველია დოქტორანტმა გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომი;
13) წყვეტს საბჭოს წევრის უფლებამოსილების მინიჭების/აღიარების, შეწყვეტის, შეჩერების საკითხს;
14) ისმენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;
15) ასრულებს ამ დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს, ასევე იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია/შეიძლება იყოს დაკავშირებული სადისერტაციო საბჭოს საქმიანობასთან, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით.

2. საბჭო უფლებამოსილია:
1) მიიღოს საბჭოს რეგლამენტი, გადაწყვეტილება, დადგენილება, მიმართვა, განცხადება, მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები;
2) საჭიროებისამებრ ამა თუ იმ საკითხის სრულფასოვანი შესწავლის, გადაწყვეტილების მიღების ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით მოიწვიოს სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები ან/და შექმნას დროებითი კომისია/სამუშაო ჯგუფი;
3) საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება (კომპეტენციის ფარგლებში) და შეიმუშაოს რეკომენდაცის/დასკვნა;
4) ნებისმიერ დროს ბტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ფაკულტეტის დეკანს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს და კვლევების ცენტრის დირექტორს მოთხოვოს საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა;
5) საბჭოს მიერ შექმნილ კომისიის/სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მოთხოვოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა;
6) ამ დებულებაში აღწერილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება თავმჯდომარისთვის და საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
7) აღწერილი წესით შეაჩეროს, შეცვალოს, გააუქმოს საბჭოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილება;
8) შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს დებულებაში ცვლილებების/დებულების პროექტი;
9) განახორციელებს ამ დებულებით, ბტუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით დადგენილი და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა ბტუ-ს მიერ დადგენილი მარეგულირებელი წესების, განსაზღვრული პროირიტეტების, ბტუ-ს ავტონომიის და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში;

10) გადაწყვიტოს თავისი დადგენილებით საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც მიეკუთვნება საბჭოს კომპეტენციის სფეროს, მაგრამ არ არის მითითებული წინამდებარე დებულებაში.

3. საბჭოს მუშაობის წესი, გადაწყვეტილების მიღება, სხდომის ოქმი

1. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. განცხადება საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღის, დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ უნდა გაკეთდეს სხდომამდე 01 კვირით ადრე (ინფორმაცია გაიგზავნება ელ.ფოსტით);
2. განსახილველი მასალები საბჭოს წევრებს მიეწოდებათ სხდომის გამართვამდე მინიმუმ 05 კალენდარული დღით ადრე (გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული და განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ამ ვადის დაცვა შეუძლებელია);
3. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვთ პარტნიორთა კრებას, რექტორს, აკადემიურ საბჭოს, დეკანს, სადისერტაციო საბჭოს წევრთა უმრავლესობას. სხდომის დანიშვნის მოთხოვნა, დღის წესრიგის პროექტი და შესაბამისი მასალები საბჭოს წევრებს მიეწოდებათ სხდომის გამართვამდე მინიმუმ 02 კალენდარული დღით ადრე (გარდა შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ეს შეუძლებელია);
4. საბჭოს წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დამატებითი განსახილველი საკითხის შეტანა. მოთხოვნა და მასალები გადაეცემა მასალები გადაეცემა საბჭოს თავმჯდომარეს და სხვა წევრებს სხდომის გამართვამდე მინიმუმ 05 კალენდარული დღით ადრე ადრე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ამ ვადის დაცვა შეუძლებელია);
5. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში (გადაუდებელი აუცილებლობიდან / საკითხის სიმარტივიდან გამომდინარე) სხდომაზე საკითხი წარმადგინოს წინასწარი მომზადების გარეშე;
6. საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა ან კონკრეტული საკითხის განხილვა გარკვეული დროით შეაჩეროს ან შეწყვიტოს, თუ საკითხები აქტუალური აღარ არის ან სხდომის ჩატარების მომენტისთვის ამოწურულია;
7. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/2;
8. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით (გარდა კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
9. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ (გარდა წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ამასთან საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრის დასწრება სავალდებულო არ არის, თუ იგი წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით დააფიქსირებს თავის პოზიციას დღეის წესრიგით გათვალისწინებელ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით;
10. თავმჯდომარის წარდგინებით ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს საბჭოს/სხდომის მდივანს;
11. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს წევრები სარგებლობენ თანაბარი ხმის უფლებით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა;
12. სხდომის დღის წესრიგში დამატებითად საკითხის შეტანა ხდება საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
13. საბჭოს წევრთა რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ. ამ შემთხვევაში, ღია კენჭისყრის წესით, საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით, აირჩევა ხმისდამთვლელი კომისია მინიმუმ 02 წევრის შემადგენლობით. კენჭისყრის შედეგები ფორმდება ოქმით. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება. კენჭისყრის შემდეგ ბიულეტენები ინახება სპეციალურ კონვერტში, რომელიც ერთვის ოქმს (ინახება ოქმთან ერთად);
14. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის, შეჩერების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი (გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით);
15. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს საბჭოს წევრისთვის/თავმჯდომარისთვის/მდივნისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბტუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის, ბტუ-ს გამართული საქმიანობისთვის ხელისშეშლის ან დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების საფუძვლით (გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით);

16. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3-ის მიერ მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება აკადემიური ეთიკის კოდექსის - აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის ფაქტის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 1/2-ით, და წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელიც ქმნის ფაქტის შემსწავლელ კომისიას);
17. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის (მინიჭების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის) შესახებ;
18. საბჭოს სხდომაზე, ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგში მოცემულ საკითხთან (კენჭისყრაში არ მონაწილეობენ);
19. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის რეგლამენტით გათვალისწინებული, გადაუდებელი ან სპეციფიკური საკითხის გადაწყვეტის მიზნით ექსპერტის მოწვევის და/ან დროებითი კომისიის შექმნის და მომდევნო სხდომებზე მოხსენების/ანგარიშის განსახილვის შესახებ. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც აწარმოებს ხდომის მდივანი;
20. თუ სხდომაზე მიმდინარეობს აუდიო- ან ვიდეო- ჩანაწერი (უნდა იყოს ცნობილი სხდომაზე დამსწრე პირთათვის), მაშინ ამის შესახებ მითითება კეთდება სხდომის ოქმში. აუდიო- ან ვიდეო- ჩანაწერი ინახება ოქმის წერილობით გაფორმებამდე და ხელმოწერამდე ან შესაძლებელია დაერთოს სხდომის ოქმს;
21. საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს: სადისერტაციო საბჭოს დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, სხდომის მდივნის, წევრების ვინაობა; სხდომაზე მოწვეულ/დამსწრე პირთა სია (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები, კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილება;
22. სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
23. სხდომის ოქმი ინახება კანცელარიაში, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისათვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც სხდომა ან მისი ნაწილი დახურულია საბჭოს გადაწყვეტილებით;
24. საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, საბჭო წყვეტს თავისი დადგენილებით.

6. დანართები

ამ დებულების დანართები (#01 – დოქტორანტობის კანდიდატის განცხადება; #02 – დოქტორანტობის კანდიდატის კვლევითი პროექტის კონცეფცია; #03 - დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების (კვლევის პროექტის კონცეფციის პრეზენტაციის) შეფასება, #04 - გასაუბრების შედეგების გასაჩივრება (საპრეტენზიო კომისიის შეფასებები); #05 - თანხმობა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე; #06 - დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა; #07 - დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; #08 - პროფესორის ასისტენტობა (საჯარო ლექციის შეფასება); #09 - სამეცნიერო კვლევის პროექტის განხილვა; #10 - კოლოკვიუმის განხილვა; #11 - სადისერტაციო ნაშრომის დაცვა (დისერტაციის და საჯარო დაცვის შეფასება); #12 - რეცენზენტის დასკვნა; #13 - ოპონენტის დასკვნა; #14 - დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინება(სადისერტაციო საბჭოსთვის)), ასევე ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუქციები, ფორმები და სხვ. წარმოადგენს ამ დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს და ძალაში შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების და დადგენილი წესით აღრიცხვის შემთხვევაში. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები/დამატებები დანართებში, თუ ეს არ ეწინაღმდეგება წინამდებარე დოკუმენტს.

7. დოკუმენტების კონფიდენციალურობა და საჯაროობა

1. ბტუ-ს დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს არასაჯარო ინფორმაციას - პირი, რომელიც მონაწილეობს დოკუმენტის/ცვლილებების პროექტის შემუშავების პროცესში, ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა, არ გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამუშაო პროცესში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე არსებოს ბტუ-ს რექტორის თანხმობა ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება; არასაჯარო ინფორმაციის გავრცელება/გამჟღავნება იწვევს შესაბამის დისციპლინურ სანქციას;
2. ბტუ-ს ყველა საჯარო დოკუმენტის მოქმედი რედაქცია (ცვლილებების აღრიცხვის ფურცელში მითითებული ინფორმაციის გარეშე) აიტვირთება ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე www.btu.edu.ge

8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბტუ-ში ამ დოკუმენტის ძალაში შესვლა-

მდე მოქმედი ამ დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხების მარეგულირებელი დებულება/წესი;
3. ბტუ-ს პერსონალი, დოქტორანტები, პროგრამების განმახორციელებლები, ბტუ-ს სადოქტორო პროგრამით სწავლის მსურველები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დოკუმენტს, ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, სადისერტაციო საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, საფინანსო სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური;
5. წინამდებარე დოკუმენტის დატკიცება, დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
6. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე დოკუმენტის ცალკეული მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად დოკუმენტის ან დოკუმენტის სხვა მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ცვლილებას ან ძალადაკარგულად/ბათილად ცნობას, თუ ეს არსებითად არ ცვლის მათ შინაარსს;
8. წინამდებარე დოკუმენტის დანართები (არსებობის შემთხვევაში), ასევე ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული და სათანადოდ აღრიცხული ფორმები/ინსტრუქციები/სხვ. (არ საჭიროებს ცალკე დამტკიცებას) წარმოადგენს დოკუმენტის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და ითვლება დამტკიცებულად წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცების საფუძველზე;
9. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით და ბტუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
10. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს მისი გაუქმების, ახალი „დოქტორანტურის დებულების“ ან წინამდებარე დოკუმენტში გათვალისწინებული საკითხების მომწესრიგებელი ახალი დოკუმენტ(ებ)ის ამოქმედების დღიდან.